



ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა
ნაშრომი თემაზე:

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის
საპროცესო-სამართლებრივი გარანტიები“

ავტორი: ნინო ბეჟუაშვილი
ხელმძღვანელი: ირინა აქუბარდია
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019

სარჩევი:

შესავალი.....	3
თავი I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება.....	6
1.1 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი	6
1.2.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო.....	7
1.2.2. დაცულ სფეროში ჩარევა.....	9
1.2.3. ჩარევის კონსტიტუციურ–სამართლებრივი საფუძვლები.....	11
თავი II. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები.....	14
2.1. ბინის(სხვა მფლობელობის) ხელშეუხებლობა.....	14
2.2. კომუნიკაციის ხელშეუხებლობა და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.....	20
2.3. ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი.....	24
2.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზაციის პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერებაზე კონტროლის მექანიზმები.....	27
2.5. სახელმწიფო ინსპექტორის როლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაში.....	31
თავი III. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიხედვით.....	36
3.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა...	40
IV. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საერთო და კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში.....	45
4.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საერთო სამართლის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე.....	45
4.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში გერმანიის მაგალითზე.....	47
V. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა.....	50
5.1. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.....	50
5.2. საერთო სასამართლოების პრაქტიკა.....	53
დასკვნა.....	57
ბიბლიოგრაფია.....	60

შესავალი

თემის აქტუალობა. თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის, რომ ზოგადად, და საქართველოშიც, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა სენსიტიურ თემას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რამდენად უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას სისხლის სამართალწარმოებისას.

მზარდი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, პირადი ცხოვრების დაცვა თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. ფიზიკური პირების პირად სფეროში ჩარევის აკრძალვა, პირველად გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაიწერა 1948 წელს. დეკლარაციის მე-12 მუხლი კრძალავს, თვითნებურ ჩარევას პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმონწერაში, ისევე როგორც პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ასეთი ჩარევა იკრძალება, როგორც ფიზიკური პირების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას ეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც აღიარებს და იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ეს მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, არა მხოლოდ თავი შეიკავონ ამ უფლებაში ჩარევისაგან, არამედ აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვან პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება.

ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევებს განიხილავს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ ინდივიდებს, ინდივიდთა ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ან იურიდიული პირებს კონვენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. კონვენციის მერვე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს არაერთი საქმე განუხილავს, მათ შორის საქართველოდანაც.

ყოველი ადამიანი ქმნის თავის პირად გარემოს, პირად ცხოვრებას და იცავს მას, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ადამიანის მიერ პირადი გარემოს შექმნის თავისებურება გამოიხატება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის მიერ განხორციელებულ ქმედებებში, ხოლო იგი განსაკუთრებით მგრძნობიარეა და თავს არაკომფორტულად გრძნობს მის პირად სივრცეში, მისივე ნებართვის გარეშე უცხო პირის შეჭრისა და ამ სივრცის დარღვევისას. სწორედ ამიტომ, ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვა ზოგადად დემოკრატიულ საზოგადოებაში და კერძოდ, საქართველოში განსაკუთრებული დაცვის საგანი გახდა, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა და ამავე მუხლშია გათვალისწინებული ის გამონაკლისები, რა დროსაც შეიძლება მოხდეს ამ უფლებაში ჩარევა. თუმცა, ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოშობამ განაპირობა უფრო ზუსტი და დეტალური წესების საჭიროება, რომელიც დაიცავდა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

პირადი ცხოვრების დაცვის პრობლემა ითხოვს სისტემურ მიდგომას კვალიფიციური ადმინისტრირებისა და კონცეპტუალური გადანყვეტილებების საფუძველზე, რაც თავისთავად ინფორმაციის დაცვის მეთოდებსა და ხერხების გამოყენების რეგულარული პროცესია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა საქართველოს სინამდვილეში.

კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: საერთაშორისო კონვენციების შესწავლა და მათი ანალიზი, საქართველოს კანონმდებლობის გაანალიზება და მათი შედარება როგორც საერთაშორისო, ისე ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობასთან, მსგავსებების და განსხვავებების მოძიება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, ასევე, საკითხთან დაკავშირებული კვლევების, ანგარიშების, სხვადასხვა ორგანიზაციების დასკვნების და რეკომენდაციების შესწავლა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოკვლევა და საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მასთან შესაბამისობა. ასევე წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდები. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, ნაშრომის მიზნებისთვის, გამოყენებულ იქნა კვლევის ნორმატიული, სისტემური, შედარებითი, სინთეზური, ისტორიული და ლოგიკური მეთოდები. დასამუშავებელი ინფორმაციის მოპოვება მოხდა სხვადასხვა წყაროებიდან, როგორცაა ბიბლიოთეკები, სასამართლოები და ინტერნეტ რესურსი.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალისა, 5 თავისა და დასკვნისაგან. თავები დაყოფილია ქვესაკითხებად.

პირველი თავი ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, როგორც ადამიანის ძირითად უფლებას, და მასში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი, ამ უფლებით დაცული სფერო, დაცულ სფეროში ჩარევა, და ბოლოს დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, მასში განხილულია ის წინაპირობები, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის შემთხვევაში, რათა ჩარევა იყოს მართლზომიერი.

ნაშრომის მეორე თავი ეხება უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესს და სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიებს,

კერძოდ კი, ბინის (სხვა) მფლობელობის ხელშეუხებლობას, კომუნიკაციის ხელშეუხებლობას და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზაციის პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერებაზე კონტროლის მექანიზმებს და სახელმწიფო ინსპექტორის როლს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაში და ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტს.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით. ასევე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი განმარტებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.

მეოთხე თავში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, კერძოდ კი ამერიკის შეერთებული შტატების და გერმანიის მაგალითზე.

მეხუთე თავი ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკას და მასში განხილულია რამდენიმე პრობლემური და საინტერესო გადაწყვეტილება

ვინაიდან პირადი ცხოვრების შინაარსი ამოუწურავია და მის ყველა კომპონენტს ვერ განვიხილავთ, ნაშრომში ყურადღება გამახვილდება მხოლოდ საცხოვრებლისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობაზე.

I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება

1.1 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი

„პირადი ცხოვრების უფლება (განმარტებული როგორც „თავისუფლების უკანონო ჩარევისგან“) დიდი ხანია, გადაიქცა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრალურ „თემად“.“¹

თავდაპირველად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა საყოველთაო და ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკულმა დეკლარაციებმა განამტკიცა.

საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აღიარებულ იქნა 1921 წლის კონსტიტუციით. იგი შემდეგი ფორმულირებით იყო მოცემული: „ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძო მიწერ-მონერა ხელშეუხებელია. მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.“

ბოლო ცვლილებამდე იგი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით: 1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმონერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადანყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. 2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთან ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადანყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მესამე მოსმენით მიიღო. ამით ქვეყანაში კონსტიტუციური რეფორმის ათთვიანი პროცესი დასრულდა. 2018 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს რიგით მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციას ქვეყანაში ახალი კონსტიტუციის ამოქმედება მოჰყვა. ამ ცვლილების შემდეგ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. 2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში

¹ ზუკაკიშვილი ქ., პირადი ცხოვრების უფლება - გამოწვევები ინტერნეტ ეპოქაში (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის მიმოხილვა), სამართლის ჟურნალი #1, თბილისი 2012, გვ. 121.

აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებაა, ის ფართო ცნებაა და არ გააჩნია ზუსტი განმარტება. მასში გაერთიანებულია უამრავი უფლებრივი კომპონენტი. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უამრავი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება. ნიშანდობლივია, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომლის პრაქტიკა ამ სფეროში ძალზე მდიდარია, არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ უფლების სრული განმარტების შეუძლებლობაზე. „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია“.²

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს პირის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას, ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, სახელს, სქესს, პატივს და ღირსებას, გრძნობებს, ინტიმურ ცხოვრებას, სექსუალური ორიენტაციის დაცვის უფლებას და უფლებას, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა ადამიანებთან და გარესამყაროსთან. ეს უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტი. პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მან უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც პირველ რიგში გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების აღკვეთას. რაც შეეხება ნეგატიურ ასპექტს, ის აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას არ ჩაერიოს ამ უფლებით სარგებლობაში და შესაბამისად უზრუნველყოს პიროვნების დაცვა.³

1.2.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული სფერო

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, რაშიც მოიაზრება ადამიანის

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 2009 წლის 19 დეკემბერი, N1/7/454, #1.

³ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ. 189.

კერძო სფერო და მისი უფლება, ჰქონდეს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან ყველანაირი კონტროლის გარეშე, დაცულია ასევე მისი საცხოვრებლის ხელშეუხებლობა. ამ ძირითადი უფლებით სარგებლობს ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არ ქონისა.

კონსტიტუციის მე-15 მუხლში ტერმინ „პირად ცხოვრებას“ გააჩნია ზოგადი მნიშვნელობა, რაც განასხვავებს სხვა სიკეთეებისგან. შესაბამისად, ის ფართოდ უნდა განიმარტოს და მასში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი ასპექტები, რომლებიც კონსტიტუციაში პირდაპირ არაა მოხსენიებული, თუმცა მიეკუთვნება პირად ცხოვრებას. „ზოგადი ხასიათის მქონე ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა დატვირთვაც გააჩნია. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჩნდება ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები. ამიტომ ყველა ასეთი ახალი ინსტიტუტია მოექცევა ტერმინ „პირადი ცხოვრების“ ცნებაში.“⁴ ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად „პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის. ასე მაგალითად, მიუხედავად თითქოსდა დეტალური ჩამონათვალისა, მე-15 მუხლი არ მოიცავს თავად ადამიანის ჩხრეკას, თუმცა უდავოა, რომ სწორედ მე-15 მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება“.⁵

პირადი სივრცის და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას და საშუალებას აძლევს ინდივიდს სხვების ჩაურევლად, თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციის, მოსაზრებების და შთაბეჭდილებების გაცვლა და გაზიარება. მასში უნდა მოვიაზროთ პირადი ჩანაწერი, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის, პეიჯერისა და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. აღნიშნული უფლებით დაცულია როგორც სადენიანი (მ.შ. ოპტიკურბოჭკოვანი), ისე უსადენო (რადიოტალღებზე მომუშავე) ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემები. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაცვის სფეროში ხვდება მხოლოდ კონფიდენციალურად დამყარებული ურთიერთობა და

⁴ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, კვლევა, თბილისი 2014, გვ. 6.

⁵ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ. 190.

მასში არ უნდა მოვიპოვოთ იმგვარი კომუნიკაცია, რომელიც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროების საშუალებით მყარდება და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისკენ, მაგალითად კომუნიკაცია რადიოს ან ტელევიზიის საშუალებით.⁶ ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროში ექცევა არა მხოლოდ ის პირი, ვინც პირადი ცხოვრების მატარებელია, არამედ ყველა სხვა პირი, ვისთანაც ის ამყარებს კომუნიკაციას, რაც ასევე გულისხმობს კომუნიკაციის მონაწილე პირთა წრის ანონიმურობასაც.

საცხოვრებლის ხელშეუხებლობა გულისხმობს თავისუფალ წყნარ პირობებში ცხოვრებას და ინდივიდის დაცვას მისი ნების საწინააღმდეგოდ გარეგანი ჩარევებისა და შემოჭრისაგან. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში „საცხოვრებელი“ ფართოდ უნდა განიშარტოს. საცხოვრებელი არის ნებისმიერი უძრავი ან მოძრავი ქონება ან ნივთი, რომელიც განკუთვნილია საცხოვრებლად და რომელიც საკუთრებაში ან მუდმივ, თუ დროებით მფლობელობაში აქვს გადაცემული ინდივიდს. მასში უნდა მოვიპოვოთ საცხოვრებელი ბინა, აგარაკი, კოტეჯი, კარავი, დასასვენებელ სახლებში ან სასტუმროში დროებით დაკავებული ოთახები, სამუშაო ადგილი და სხვა. ამ უფლებით სარგებლობს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად ცხოვრობს საცხოვრებელში. ხოლო, როდესაც პირი ქირავნობით ან გირაოს საფუძველზე კანონიერად ფლობს და სარგებლობს ბინით, ამ შემთხვევაში საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების გამოყენება შეუძლია სწორედ ამ პირს, და არა ბინის მესაკუთრეს.⁷ იქიდან გამომდინარე, რომ საცხოვრებელ მფლობელობად შეგვიძლია განვიხილოთ მხოლოდ დახურული და გადახურული ნაგებობა, საცხოვრებელ მფლობელობად არ ჩაითვლება წამოსაწოლი ადგილი მეტროში ან ზღვის ნაპირზე, სატელეფონო ჭიხური და სხვა. საცხოვრებელ მფლობელობად ასევე ვერ ჩაითვლება მსუბუქი ავტომობილი და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ოთახი. ამ უფლებით იურიდიული პირები სარგებლობენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, დაცულია ეკლესია, რომელსაც ორგანიზებული აქვს საეკლესიო თავშესაფარი.⁸

1.2.2. დაცულ სფეროში ჩარევა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური სფერო. თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს

⁶ ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 185.

⁷ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი 2008, გვ. 161.

⁸ ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 188.

ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას და მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას. ეს არის ადამიანის არსებობის ბუნებრივი მოთხოვნილება და შესაბამისად მისი დაცვის მოლოდინი ყველას გააჩნია. ადამიანი ღირსების მქონე თავისუფალი არსებაა. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივი სივრცე მიმართული უნდა იყოს ადამიანის უფლების და იმ კონსტიტუციური ფასეულობების დაცვისკენ, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მშვიდობიანი ყოფაცხოვრებისა და განვითარებისთვის არის საჭირო. კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების ძირითადი მიზანია, დაიცვას ინდივიდი სახელმწიფოს თუ სხვა პირების მხრიდან განხორციელებული თვითნებური ჩარევებისგან. იმისათვის, რომ მოხდეს ამ უფლებაში ჩარევა, საჭიროა ლეგიტიმური კონსტიტუციური მიზნის დაცვის აუცილებლობის დასაბუთება და ასევე, დაცული უნდა იყოს უფლების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური გარანტიები, ანუ სახეზე უნდა იყოს სასამართლოს განჩინება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეათვასოს ჩარევის საჭიროება და როგორც წესი, სწორედ მისი განჩინება წარმოადგენს კონკრეტულ სატელეფონო საუბარზე თუ პირის საცხოვრებელ ან საქმიანობის ადგილზე სახელმწიფოს დაშვების საფუძველს.

როდესაც საქმე ეხება პირად ცხოვრების და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას, ამ უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ პირადი მიმოწერის ან ნებისმიერი ტექნიკური საშუალებებით წარმოებული ურთიერთობების შინაარსის და სხვა მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. მაგალითად: სახელმწიფო ორგანოები აფიქსირებენ საფოსტო გზავნილს, როდესაც წერილი იგზავნება დახურული კონვერტით, ადგენენ გამგზავნის და მიმღების ვინაობას და ეცნობიან წერილის შინაარსს, ჩარევას წარმოადგენს ასევე სახელმწიფო ორგანოების მიერ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და სხვა.⁹

საცხოვრებლის და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის მაგალითია სახელმწიფო ორგანოების მიერ საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში შესვლა და მფლობელთა ნების სანინააღმდეგოდ ჩხრეკის ჩატარება ან საცხოვრებლის თვალთვალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და სხვა.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დადგენილი „ჩარევის საფუძვლები არ მოქმედებს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და დიპლომატების მიმართ, რომლებიც დიპლომატიის სამართლის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში აბსოლუტურად არიან დაცული პირადი საქმიანობის ადგილის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო

⁹ კუბლაშვილი ვ., ძირითადი უფლებები, თბილისი 2008, გვ. 158.

და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებებისა და ბინისა და სხვა საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებებით.¹⁰

1.2.3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები

ძირითადი უფლების დაცვის სფეროში ჩარევა პირდაპირ არ ნიშნავს ამ უფლების დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ დარღვევისკენ არის მიმართული. უფლებაში ჩარევისას უნდა დადგინდეს, არის ეს ჩარევა კონსტიტუციური თუ დარღვეულია ადამიანის ძირითადი უფლება. ჩარევის გამართლების საფუძველზე გამოიყოფა ჩარევის ფორმალური საფუძვლები და ჩარევის ზღვარი. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ცნობილია ჩარევის სამი ფორმალური საფუძველი: კანონის კონკრეტული დათქმა, უშუალო კონსტიტუციური დათქმა და შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლები.

კანონის კონკრეტულ დათქმაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც კონსტიტუცია უფლებაში ჩარევისთვის მიუთითებს კანონზე და აცალიბებს შეზღუდვის კონკრეტულ პირობებს. უშუალო კონსტიტუციური დათქმისას კონსტიტუცია კანონზე მიუთითებს გარეშე თვითონ განსაზღვრავს ძირითად უფლებაში ჩარევის კონკრეტულ წინაპირობებს. რაც შეეხება შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებს, ამ შემთხვევაში კონსტიტუცია არ იცნობს ძირითად უფლებაში ჩარევის კონკრეტულ დათქმას, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩარევა შეიძლება განხორციელდეს შიდაკონსტიტუციური შეზღუდვის საფუძვლებით. საბოლოო ჯამში, სამივე ფორმალური საფუძველი ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას ანიჭებს კანონმდებელს.¹¹

რაც შეეხება ჩარევის ზღვარს, მას თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს. როდესაც ძირითად უფლებაში ხდება ფორმალური საფუძველით გამართლებული ჩარევა, ის ასევე უნდა იყოს გამართლებული მატერიალურადაც და შინაარსობრივადაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩარევა ვერ იქნება გამართლებული. ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა უნდა შემოწმდეს ჩარევის ზღვრის დაცვით. სწორედ ის წარმოადგენს უშუალო კონსტიტუციურ ზღვარს და არ მიეკუთვნება აბსტრაქტულ კატეგორიას.

კონსტიტუციის მე-15 მუხლით აღიარებული ძირითადი უფლებების შეზღუდვისას, ჩარევის ზღვარი გამოიხატება კონკრეტულ პრინციპებში, რომლებსაც აქვთ ნორმატიული ძალა. ეს პრინციპებია თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის

¹⁰ ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 192.

¹¹ იქვე, გვ. 23.

პრინციპები, რომლებიც უფლებების მიმართ განსაკუთრებით ფროთხილ შეფარდებს საჭიროებს.

თანაზომიერების პრინციპი განსაზღვრავს ადამიანის უფლების შეზღუდვის სახელმწიფოს ფარგლებს, უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ განონანსორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს რამდენადაა ჩარევა აუცილებელი, პროპორციული და რამდენად ემსახურება ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს.

უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამონვეულია მწვავე (გადაუდებელი) საზოგადოებრივი საჭიროებით.

პროპორციულობა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დამცველ ღონისძიებას წარმოადგენს. მისი საშუალებით მიიღწევა სიტუაცია, როდესაც არცერთი სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე არ ხდება მეორის არაპროპორციული შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ საქმეში მხედველობაში იღებს სადავო სამართლებრივი აქტების რეგულირებას და სხვადასხვა კანონმდებლობას, რათა შეათვასოს უფლების დაცვის გარანტიები და შემდგომ ადარებს მათ საჯარო ინტერესებს.¹²

ჩარევის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი არის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც ერთგვარი მექანიზმია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პირადი ცხოვრების უფლებაში თვითნებური ჩარევის პრევენციისთვის. შესაბამისად, უფლების შეზღუდვის ერთადერთი მიზანი უნდა იყოს სხვა უფლების დაცვა.

განსაზღვრულობის პრინციპი გულისხმობს კანონის წინასწარ განჭვრეტადობას, ის ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და უნდა შეიცავდეს სხვა გარანტიებს, რაც თვითნებობისგან დამცავი მექანიზმია.

კონსტიტუციის მე-15 მუხლი თვითონვე ადგენს ამ უფლების შეზღუდვის ერთგვაროვან საფუძველს, მისი შეზღუდვა დასაშვებია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან სხვათა უფლებების დასაცავად. შეზღუდვა უნდა იყოს კანონის შესაბამისი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან მის გარეშე, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, რაშიც მოიაზრება კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ჩარევის დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, არსებობს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, აგრეთვე, როდესაც ინფორმაციის შემცველი ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო

¹² ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოციროძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ. 269.

მოქმედებების ჩატარებისას.¹³ „გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარევის ლეგიტიმურობა საჭიროებს post factum დადასტურებას სასამართლოს მიერ.¹⁴ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სახელმწიფოს აქვს უფლება საკუთარი სურვილის შესაბამისად დაადგინოს ძირითადი უფლების შეზღუდვის საფუძვლები. კანონმდებელი, კანონის შემუშავებისას თვითონვეა შეზღუდული ძირითადი უფლებით და მას არ შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს შეზღუდვის საფუძვლად მისთვის საჭირო ნებისმიერი შემთხვევა.¹⁵ გადაუდებელი აუცილებლობა პირობითად შეიძლება იყოს ორი სახის: ერთ შემთხვევაში - როდესაც შესაძლებელია დადგენილების გამოტანა, ხოლო მეორე შემთხვევაში - როდესაც შეუძლებელია დადგენილების გამოტანა მოვლენათა განვითარების სისწრაფის გამო.¹⁶

¹³ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 112-ე მუხლი, მე-5 ნაწილი.

¹⁴ ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 190.

¹⁵ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი 2008, გვ. 159.

¹⁶ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი 2017, გვ. 450.

II. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები

2.1. ბინის (სხვა მფლობელობის) ხელშეუხებლობა;

„1963 წელს, ბრიტანეთის თემთა პალატის წინაშე გამოსვლისას, გამოჩენილმა ინგლისელმა პარლამენტარმა უილიამ პიტმა განაცხადა: „ღარიბთა შორის უღარიბესიც, საკუთარ ქოხში უფლებამოსილია წინ აღუდგეს გვირგვინოსანთა ძალას და მთელ სამეფო არმიას, სახლი შეიძლება დაინგრეს, სახურავი მოერყეს, შეიძლება მასში ორპირი ქარი დათარეშობდეს, წვიმა კი, ჩამონგრეული ჭერიდან ასხამდეს, მას შეიძლება დაატყდეს შტორმიც, მაგრამ არც ინგლისის მეფეს და არც სხვა რომელიმე ძალას უფლება არა აქვთ გადააბიჯონ ასეთი დანგრეული სახლის ზღურბლსაც კი.“¹⁷

უკვე მრავალი საუკუნეა .ადამიანის საცხოვრებელი ადგილი ინარჩუნებს ერთი და იგივე სოციალურ ფუნქციას და ძველებურად რჩება ოჯახურ კერად, სადაც იზრდება შთამომავლობა, სადაც ადამიანი არის უფლებამოსილი, თვითონ განსაზღვროს ქცევის რეჟიმი დამოუკიდებლად, ან ოჯახის წევრებთან ერთად გადაწყვიტოს, ვინ მიიღოს სტუმრად, რაზე ისაუბროს, რა გააკეთოს და როგორ მოიქცეს. მოქალაქის უფლება ბინის ხელშეუხებლობაზე თავისი არსით იგივეა, რაც ბინის საიდუმლო- ადგილი, სადაც ადამიანისთვის ნებადართულია, აკეთოს ყველაფერი ის, რასაც არასოდეს გააკეთებს საზოგადოების თვალწინ.¹⁸

საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის უფლება დაცულია კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტით, რომლის თანახმად, არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. „საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა არის ნებისმიერი უძრავი, ან საცხოვრებლად განკუთვნილი მოძრავი ნივთი, ქონება, რომელიც საკუთრებაში ან მუდმივ თუ დროებით მფლობელობაში ან სარგებლობაში აქვს გადაცემული ინდივიდს.“¹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტერმინ „საცხოვრებელს“ აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. იმისათვის, რომ გარკვეული ადგილი ჩაითვალოს „საცხოვრებლად“ კონვენციის მიზნებისთვის,

¹⁷ შაყულაშვილი თ., ბინის (სხვა მფლობელობის), პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებების დაცვის საკონვენციო მექანიზმების საფუძველზე და კანონი #2(37), თბილისი 2013, გვ. 126.

¹⁸ შაყულაშვილი თ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სტუ. თბილისი, 2013, გვ. 120.

¹⁹ ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 186.

აუცილებელია კონკრეტული გარემოებების შეფასება.²⁰ “საცხოვრებელი მფლობელობის იდენტიფიცირების გადამწყვეტ კრიტერიუმად უნდა განვიხილოთ ცხოვრების მიზნის სუბიექტური განსაზღვრა და მისი ობიექტური შეცნობადობა.”²¹ სასამართლოს განმარტებით “საკუთრება იქნება თუ არა კლასიფიცირებული, როგორც “საცხოვრებელი”, დამოკიდებულია ფაქტებზე და არ არის დამოკიდებული იმაზე, ეროვნული კანონმდებლობით ეს მფლობელობა იყო თუ არა კანონიერი.”²² სასამართლო საცხოვრებელ ადგილად არ მიიჩნევს: მიწის ნაკვეთი, რომელზეც არ დგას საცხოვრებელი ნაგებობა, ან სადაც ტარდება სპორტული ღონისძიებები, მსახიობის საგარდეროზე ოთახი და ადგილი, რომელიც ეკუთვნის საცხოვრებელი კორპუსის ბინების თანამფლობელებს და განკუთვნილია დროდადრო გამოყენებისთვის.²³

ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება ასევე დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით, რომლის თანახმად, დანაშაულებრივ ქმედებას მიეკუთვნება ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენს ერთგვარ დამცავ მექანიზმს, რათა არ მოხდეს ადამიანის პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევა. მასში კონკრეტულად არის განწერილი, როდის და რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ეს უფლება. ამავე კოდექსით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომლის თანახმად, გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. ამ მუხლით დაცულია მთლიანად კერძო საკუთრებისა და მფლობელობის ხელშეუხებლობა, რაც მოიცავს ასევე საცხოვრებელს და სამუშაო ადგილს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ის იცავს ადამიანს მხოლოდ თვითნებური და უკანონო ჩარევებისგან, მასში ჩარევა შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრული წესით და პირობებში, შესაბამისად, პროცესის მონაწილე პირს გარკვეულ შემთხვევებში ეკისრება თმენის ვალდებულება, როდესაც კანონის საფუძველზე ხდება მის პირად ცხოვრებაში ჩარევა.

²⁰ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017გვ. 181.

²¹ ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 187.

²² ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბ., საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2013, გვ. 383.

²³ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 182.

საცხოვრებელი ბინის და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის ტიპური შემთხვევაა საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამავე კოდექსის მესამე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. კოდექსი არ აკონკრეტებს რა სახის ინფორმაცია მოიაზრება მასში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული სასამართლოში. “ობიექტურ პირში” მოიაზრება იურიდიული განათლების არ მქონე გონიერი ადამიანი, რომელიც კონკრეტულ გარემოებას განსაზღვრავს სამართლიანად, მიუკერძოებლად და ყოველგვარი ინტერესთა კონფლიქტის გარეშე. სწორედ ასე უნდა მიუდგინენ ამ საკითხის გადანყვეტას სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი.²⁴ სასამართლომ არაერთ განჩინებაში განმარტა, რომ დასაბუთებულ ვარაუდს ვერ შექმნის მხოლოდ ზოგადი მითითება ამოსაღები ნივთის კონკრეტულ პირთან ან ადგილზე არსებობის შესახებ და შუამდგომლობის ავტორმა უნდა დაასაბუთოს მათი სანდოობა, რაშიც მოიაზრება ინფორმატორის და ინფორმაციის მომპოვებლის ნდობის საფუძველი და საქმეში არსებული სხვა ფაქტები.²⁵ გადანყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ყოველი დეტალი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ან არ ჩატარებაზე. თავის მხრივ, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს რეალურად არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადანყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი

²⁴ გიორგაძე გ., ბარამიძე ა., სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისთვის, თბილისი, 2012, გვ. 28.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, რედ.: გიორგაძე გ., თბილისი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015, გვ. 388.

ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღვრად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.²⁶

იმისათვის, რომ განვასხვაოთ ამოღების და ჩხრეკის ჩატარების საჭიროება, პირველ რიგში უნდა დადგინდეს, საჭიროა თუ არა ამ კონკრეტული ნივთის ძებნა. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის, მაშინ ტარდება ამოღება, ხოლო თუ სახეზეა ძებნის საჭიროება, ამ შემთხვევაში ტარდება ჩხრეკა.

ამოღება ან ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინებით, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, რომელიც მაინც მოითხოვს მოსამართლის დაკანონებას. წინასწარი სანებართვო კონტროლის შემთხვევაში სასამართლო ამონებს შუამდგომლობის ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძველებს. ფორმალური საფუძველებში მოიაზრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმალური მოთხოვნები, მაგალითად, როგორცაა განსჯადობის დაცვა, შუამდგომლობით მიმართავი სუბიექტის უფლებამოსილება, საჭირო საქმის მასალები, შუამდგომლობაზე სავალდებულო ხელმოწერა და სხვა. რაც შეეხება ფაქტობრივ საფუძველებს, მასში იგულისხმება მონაცემები, რომლებიც ქმნიან დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ განსახილველი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი შეიძლება იყოს ან არის იმ კონკრეტულ ადგილას, რომელიც მითითებულია ჩხრეკის ან ამოღების შუამდგომლობაში.²⁷

განჩინება (დადგენილება) ამოღების ან ჩხრეკის დაწყების წინ უნდა გაეცნოს პირს, რომელთანაც ტარდება საგამომძიებო მოქმედება. განჩინების (დადგენილების) გაცნობას პირი ადასტურებს ხელმოწერით. მიუხედავად იმისა, რომ განჩინებაში მიეთითება იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის შესახებ, რომლის ამოღებაც უნდა მოხდეს, გამომძიებელი არაა შეზღუდული საგამომძიებო მოქმედების მიმდინარეობისას ამოიღოს ყველა სხვა ობიექტი, თუ მათ აქვთ მტკიცებულების მნიშვნელობა ამ საქმისთვის, ან მიუთითებენ სხვა დანაშაულზე, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.²⁸ განჩინებაში ამოსაღები ნივთის დაკონკრეტების აუცილებლობასთან დაკავშირებით ევროსასამართლომ მომჩივანი უურნალისტის სახლის, ოფისის და მანქანის ჩხრეკა მიიჩნია არაპროპორციულად ჩხრეკის ორდერში მითითებული სიტყვების გამო, რომლითაც დაშვებული იყო „ჩხრეკა და ნებისმიერი დოკუმენტის თუ საგნის ამოღება, რომელსაც, შესაძლოა, დახმარება

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II#26.

²⁷ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი 2017, გვ. 439.

²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 120-ე მუხლი.

გაენია გამოძიებისთვის“, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ორდერში არ იყო მითითებული იმ ნივთების შესახებ, რაც უნდა ყოფილიყო ამოღებული და მომჩივნები არ იყვნენ ინფორმირებულნი ჩხრეკის მიზნების თაობაზე.²⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს თანამესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობას, რომელიც საკმარისია ამგვარი საგამოძიებო მოქმედებების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად. ამისათვის კი, რა თქმა უნდა, აუცილებელია, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებელ ადგილს ჰყავდეს მესაკუთრე ან მფლობელი, ან პირი, რომლის საკუთრებას ან მფლობელობასაც წარმოადგენს ამოსაღები ნივთი. კოდექსში არ არის დაკონკრეტებული, რას ეხება ეს თანხმობა, მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას თუ ამოსაღები ნივთის გადაცემას. შესაძლოა, ამას გამოენვია არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რა დროსაც მოსამართლეთა ერთი ნაწილი საკმარისად მიიჩნევდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანხმობას, ხოლო მეორე ნაწილი ამოსაღები ნივთის გადაცემაზე თანხმობის აუცილებლობაზე მიუთითებდა. მიუხედავად არაერთგვაროვანი პრაქტიკისა, ყურადღება უნდა მიექცეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა ტიპის საგამოძიებო მოქმედება ტარდება და რა არის მისი ჩატარების მიზანი. ამოღების და ჩხრეკის ჩატარების დროს აუცილებელია შეფასდეს თანხმობა არა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, არამედ ნივთის/ნივთების ამოღებაზე, რადგან ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი სწორედ ნივთის ამოღებაა. შესაბამისად, გამომძიებელმა პირს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებთან, საფუძვლებთან და მის შედეგებთან ერთად უნდა განუმარტოს, რომ ბინიდან მტკიცებულების ამოღებაც ამ მიზნებში შედის.³⁰

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო საგამოძიებო მოქმედებების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებისას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ეს არის ის შემთხვევები, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისთვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში პროკურორმა უნდა აცნობოს სასამართლოს და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასახულებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. თავის მხრივ, სასამართლომ გულდასმით უნდა შეამოწმოს, ნამდვილად არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობა და ხომ არ მოხდა გამომძიებლის მიერ რიგითი სიტუაციის გადაუდებელ აუცილებლობად

²⁹ Ernst and others v. Belgium №33400/96, 15.7.2003.

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, რედ.: გიორგიძე გ., თბილისი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015, გვ. 371.

შეფასება. მასში მოიაზრება იმ კონკრეტულ სიტუაციაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლა. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას და გამოაქვს განჩინება საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია, განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა, რაც კიდევ უფრო ეხმარება სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლაში.

გარდა სასამართლოს ნებართვისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დამატებით ნებართვას საჭიროებს დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირების ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას, ამ დროს საჭირო ხდება დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის გამოთხოვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, ასევე ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის განჩინება, რა დროსაც სასამართლომ ევროსასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების და ნორმატიული ბაზის საფუძველზე აღნიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს კონტროლქვეშ და უნდა ემსახურობდეს საზოგადოებრივი ინტერესების ან/და სხვათა უფლებების და თავისუფლებების დაცვას. ჩხრეკის ჩატარებისათვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი უფრო დაბალი სტანდარტია, ვიდრე ბრალდების წარდგენისთვის დადგენილი, რაც არ ეწინააღმდეგება პირის კანონიერი ინტერესის პრიორიტეტულობას დანაშაულის გახსნის და დამნაშავის დასჯის ინტერესთან.³¹

რეკომენდაციის სახით, სამართალდამცავმა ორგანოებმა ჩხრეკა უნდა განხორციელონ სანდო საფუძველებით და მას წინ უნდა უძღვოდეს ყველა შესაძლო ღონისძიება, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ჩხრეკის დროს შეცდომის დაშვების რისკი, ჩხრეკის ჩატარებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული პროპორციულობა და უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მასშტაბით, რაც საჭიროა გამოძიებისთვის საჭირო ნივთის აღმოსაჩენად. თითოეული საქმის მიმართ მიდგომა უნდა იყოს ინდივიდუალური და ჩხრეკა უნდა ჩატარდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და იმ სიტუაციაში, რომ არ გადააჭარბოს ჩარევისთვის დადგენილ ზღვარს.³²

³¹ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 გვ. 156.

³² ხუციშვილი ე., ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართმსაჯულებაში, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012, გვ. 35.

2.2. კომუნიკაციის ხელშეუხებლობა და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.

„თანამედროვე ელექტრო-გამომთვლელი მანქანის - კომპიუტერის“ ფართოდ დანერგვამ საზოგადოების ცხოვრებაში დადებითთან ერთად მრავალ უარყოფით მოვლენასაც დაუდო საფუძველი.³³

ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად, მარტივდება პირადი ხასიათის ინფორმაციისადმი გარეშე პირების წვდომის შესაძლებლობა, იქმნება პირად ცხოვრებაში უნებართვო შეჭრის საფრთხეები და ჩნდება კითხვები პირის განმარტოების უფლებაში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებადართულ საზღვრებთან დაკავშირებით. ციფრული ინფორმაცია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას და ხვედრით წილს იძენს საგამოძიებო ინფორმაციის ნაწილში და თანამედროვე გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მატარებელია.³⁴

2012 წელს საქართველომ მოახდინა „კიბერდანაშაულის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება. კონვენციის პირველ მუხლში მოცემულია ისეთი ტერმინების განმარტებები, როგორცაა „კომპიუტერული სისტემა“ - ერთმანეთთან დაკავშირებულ ნებისმიერი მოწყობილობის ან მოწყობილობების ჯგუფი, რომელთაგან ერთი ან მეტი პროგრამის შესაბამისად ასრულებს მონაცემების ავტომატურად დამუშავებას, და „კომპიუტერული მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაციის ან კონცეფციების ნებისმიერი წარმომადგენლობა, მათ შორის, პროგრამა, რომელიც ასრულებს კომპიუტერული სისტემის ფუნქციას.“³⁵

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებული მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). რაც შეეხება კომპიუტერულ მონაცემს, ის არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

ევროპის საბჭოს კონვენციის მე-3 მუხლის ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერული სისტემისთვის, სისტემიდან ან მის ფარგლებში არასაჯარო კომპიუტერულ მონაცემთა გადაცემის, მათ შორის კომპიუტერული სისტემიდან ამგვარ კომპიუტერულ მონაცემთა მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების ემისიის უნებართვო ხელში ჩაგდებას

³³ ლანჩავა გ., კომპიუტერული დანაშაული, ჟურნალი მართმსაჯულება #2, თბილისი 2008, გვ. 63.

³⁴ ფაფიაშვილი ლ., „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა VII, თბილისი 2015, გვ. 80.

³⁵ Convention on Cybercrime, Budapest 2001, Article 1.

კრიმინალიზაციას, როცა ეს ქმედება ტექნიკური საშუალებითაა განხორციელებული და თუ იგი წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი.³⁶

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრულია, რა შემთხვევაში შეიძლება მიმართვა დოკუმენტის და ინფორმაციის გამოთხოვაზე და ვინ არის ამისათვის უფლებამოსილი პირი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებამდე (№1/1/650,699) თუ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახებოდა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ჰქონდა მხოლოდ პროკურორს, შესაბამისად დაცვის მხარეს იმ შემთხვევაშიც არ შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის, თუ არ შეეძლო სხვა მტკიცებულებების მოპოვება, რომელიც ადასტურებდა მის უდანაშაულობას. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები შეზღუდულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალში არსებული დანაშაულების კატეგორიით. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას.³⁷ ძალიან მოკლედ შევხები შედეგებს, რომელიც მოჰყვა ამ გადაწყვეტილების მიღებას. პრაქტიკაში მოხდა განმარტების ორგვარი გაგება, მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ დაცვის მხარესაც შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის გამოთხოვის შუამდგომლობით მხოლოდ იმ კატეგორიის საქმეებზე, რაზეც ჰქონდა უფლება ბრალდების მხარეს, ხოლო მოსამართლეთა ნაწილმა მიიჩნია, რომ დაცვის მხარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, მიეცა უფლება სასამართლოსთვის მიემართა ყველა კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში. ვფიქრობ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მხრივ, პრობლემურია ამგვარი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რადგან როდესაც ხდება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა, არ არის გამორიცხული მასში ფიქსირდებოდეს სხვა პირის მონაცემებიც, რომელიც არაა ბრალდებული ამ სისხლის სამართლის საქმეში და მოხდეს მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევა.

³⁶ ზექალაშვილი უ. კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი რეგულირების პრობლემები საქართველოში, თბილისი 2013, გვ. 103.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება (№1/1/650,699).

„სასამართლო კონტროლის ფორმალურად არსებობა არ ქმნის საკმარის გარანტიას. მნიშვნელოვანია სასამართლო კონტროლის ეფექტიანად განხორციელება, როგორც ex anter, ასევე ex post შემთხვევაში, რომლის დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის აუცილებლობის და თანაზომიერების შემოწმებას, საპროცესო ლიტერატურაში გამოყოფენ სასამართლოს განჩინების კანონიერების სამ ძირითად კრიტერიუმს: ა) ნეიტრალური სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანა, ბ) დასაბუთებული ვარაუდის დაკმაყოფილება და გ) დეტალიზაციის მოთხოვნა.“³⁸

აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის მხრივ, კომპიუტერულ სისტემათგან ყველაზე დიდი რისკის მატარებელია მობილური ტელეფონი.

საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ათი წლის წინ უზრუნველყოფდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას, დღეს უმეტესწილად ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რადგან ადამიანს პრაქტიკულად მთელი მისი ცხოვრება ასახული და ჩანერილი აქვს მობილურ ტელეფონში. ფაქტიურად, მობილური ტელეფონის ჩხრეკა გულისხმობს უამრავი დოკუმენტის, ფოტოსურათის და პერსონალური ხასიათის ჩანაწერების ჩხრეკას და განმარტოების მოლოდინი მისი ჩხრეკის შემთხვევაში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ფიზიკური ჩხრეკისას. სასამართლო პრაქტიკით უკვე დადგენილია, რომ მობილური ტელეფონების და კომპიუტერების მიმართ მესაკუთრეებს განმარტოების გონივრული მოლოდინები გააჩნიათ, სწორედ ამიტომ სასამართლო მათ აღარებს „დაცულ საცავებს“, რომელთა ჩხრეკის უფლება არ გააჩნიათ გამომძიებელს სასამართლოს ნებართვის ან გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე.³⁹

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, რადგან ყველაზე პირადი ხასიათის ინფორმაცია ინახება მობილურ ტელეფონში, მისი ჩხრეკა გამოიწვევს მესამე პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩხრეკასაც, ეს შეიძლება იყოს მათი ფოტოსურათები, მათთან განხორციელებული მიმოწერა და სხვა სახის პირადი ინფორმაცია, ამიტომ საჭიროა სასამართლოს მხრიდან მკაცრი კონტროლის განხორციელება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი ჩხრეკის მწარმოებელ პირს აძლევს უფლებას, ამიღოს მობილური ტელეფონი, თუმცა გაურკვეველია, მობილური ტელეფონის ამოღება დაიშვება მისი აღმოჩენისთანავე თუ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი შიგთავსის დათვალიერების შემდეგ გაირკვევა ტელეფონის მნიშვნელობა საქმისათვის. ასევე გაურკვეველია, რას გულისხმობს ტელეფონის დათვალიერება, მის გარეგნულ მახასიათებლებს თუ შიგთავსის „დათვალიერებას“?⁴⁰

³⁸ ფაფიაშვილი ლ., ციფრული მტკიცებულების ამოღება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკმარისი თუ ილუზიური გარანტია? კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, თბილისი 2014, გვ. 142.

³⁹ ფაფიაშვილი ლ., „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა VII, თბილისი 2015, გვ. 81.

⁴⁰ იქვე გვ. 85.

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ხდება მაგალითად, მობილური ტელეფონის ამოღება, ეს შეიძლება გამართლებული იყოს გადაუდებელი აუცილებლობით, თუმცა ამით ვერ გავამართლებთ შიგთავსის დათვალიერებას სასამართლოს ნებართვის გარეშე, რადგან ამ დროს არ არსებობს მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.

უდავოა ის გარემოება, რომ კომუნიკაციის პატივისცემა მჭიდრო კავშირშია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან. თუ ტრადიციული გაგებით მიმონერა მოიცავდა/მოიცავს წერილების და სხვა დოკუმენტაციის გაგზავნა/მიღებას ფოსტის მეშვეობით, ევროსასამართლომ ასევე დაადგინა რომ, ის ამავე დროს გულისხმობს სატელეფონო კომუნიკაციას და ტელექსით გადაცემულ შეტყობინებებსაც. რადგან 21-ე საუკუნეში კომუნიკაციის მეთოდები ბევრად გაფართოვდა და დროის გასვლასთან ერთად მუდმივად ვითარდება, ევროსასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ კონცეფციის იმგვარი განმარტება, რომ მან ფეხი აუწყოს ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა კომუნიკაციის ახალ მეთოდებს, როგორებიცაა: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ასე შემდეგ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ უფლებაში ჩარევისგან სამართლებრივი დაცვის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს კომუნიკაციის ტიპის მიხედვით.⁴¹

შეზღუდვის გამართლების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის პარტნიორთა ვინაობას. მაგალითად, კომუნიკაცია ბრალდებულსა და ადვოკატს ან ბრალდებულსა და სახალხო დამცველს შორის გაცილებით მკაცრ დაცვას საჭიროებს, ვიდრე კომუნიკაცია ბრალდებულსა და მის ნათესავებს შორის. მიმონერის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია კომუნიკაციის ორივე პარტნიორი მათ ერთობლიობაში. შესაბამისად, ჩარევა დაცვის სფეროში არ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი პარტნიორი აძლევს საჭარო ხელისუფლებას გზავნილის შინაარსის გაცნობის ან შიგთავსის დათვალიერების უფლებას.⁴²

სახელმწიფო ვალდებულია, კორესპონდენციების შემონახვის და თვალთვალის საიდუმლო მეთოდების კონტროლის ეფექტური და ადეკვატური სისტემა დანერგოს. შესაბამისად, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პროცედურები ამ მეთოდების თვითნებურად გამოყენების აღსაკვეთად. კონტროლი უნდა განხორციელდეს სამ სტადიად: პირველი - თვალთვალის დაწყების ეტაპზე; მეორე - თვალთვალის განხორციელების პროცესში და მესამე - როდესაც იგი დასრულდა. რაც შეეხება პირველ ორ სტადიას, ცხადია, რომ საიდუმლო კონტროლის არსი ის არის, რომ ინდივიდმა არ უნდა იცოდეს მის მიმართ გატარებული ზომების შესახებ. სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს ისეთი მექანიზმები, რომ დაცული იყოს ინდივიდის უფლებები. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, რომელიც

⁴¹ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 192.

⁴² ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2013, გვ. 184.

ევროპული კონვენციის პრეამბულაშია აღიარებული, საჭიროა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე, რომლებიც ინდივიდის უფლებებს ეხება, არსებობდეს ეფექტური კონტროლი. ასეთი ეფექტური კონტროლი, როგორც წესი, სასამართლომ უნდა განახორციელოს, რადგან ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სათანადო პროცედურების დაცვის გარანტიები.

იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს ეკისრება დაიცვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რაშიც მოიაზრება მისი როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებები, დაკავების განმახორციელებელ პირს არ უნდა ჰქონდეს უფლება, დაათვალიეროს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ მობილური ტელეფონში არსებული ინფორმაცია მანამდე, სანამ მას არ ექნება სასამართლოს ნებართვა.

„კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა უნდა ითვალისწინებდეს სპეციალურ რეგულირებას მობილური ტელეფონების ჩხრეკის გონივრულად განხორციელებისთვის, რაც გულისხმობს ერთი მხრივ მობილური ტელეფონების ჩხრეკის პროცედურების რეგულირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ჩხრეკის წარმოებისათვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტის ზედმინწევით, ნათლად განსაზღვრას, რაც დააკმაყოფილებს გონივრულობის და სამართლებრივი სიცხადის სტანდარტს; მობილური ტელეფონის ჩხრეკის დაუშვებლობას წვრილმანი და მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის; პირადი ჩხრეკის წარმოებისას აღმოჩენილი მობილური ტელეფონის მხოლოდ ამოღების უფლებამოსილებას, მისი შიგთავსის ჩხრეკის გარეშე და ადგენდეს გონივრულ ვადას, სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, მობილური ტელეფონის ჩხრეკის წარმოებისათვის.“⁴³

2.3. ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი

უდავოა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი დაცვის ხარისხი, რაც პირველ რიგში აისახება მის პრაქტიკულ რეალიზაციაში, თანამედროვეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. ასევე, თუ გავითვალისწინებთ კომუნიკაციის სფეროში დღეს არსებულ ტექნოლოგიურ მიღწევებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი გამოყენების მასშტაბებს, ნათელი ხდება, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხი დღითიდღე ახალი და მეტად რთული გამოწვევების წინაშე დგება. ეს რეალობა კი ყველაზე მწვავედ სისხლის სამართლის

⁴³ ფაფიაშვილი ლ., „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა VII, თბილისი 2015, გვ. 97

სფეროში იჩენს - ხოლმე თავს, რაც თავად დარგის სპეციფიკური ბუნებით არის განპირობებული.⁴⁴

როდესაც არსებობს კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სამართალდამცავ ორგანოებს აძლევს უფლებას, დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში ჩაატარონ გამოძიება, რაშიც მოიაზრება კანონით დადგენილი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელება საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევის და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. ყველა საგამოძიებო მოქმედება დაკავშირებულია უფლების შეზღუდვასთან, საგამოძიებო მოქმედებების უმეტესი ნაწილი კი ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. სწორედ ამიტომ, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ვრცელდება სასამართლო კონტროლი, ჩატარებაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით, ხოლო როდესაც ხდება საგამოძიებო მოქმედებების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარება, ამ შემთხვევაში უკვე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმების გზით.⁴⁵

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამის შესახებ დათქმას არ აკეთებს, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება კონტროლის განსხვავებული მექანიზმი, იქიდან გამომდინარე, რომ განხვადდება ადამიანის უფლებების შეზღუდვის ხასიათი და ხარისხი. ამის შეფასებას აკეთებს თვითონ სასამართლო, როდესაც განიხილავს შუამდგომლობას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, რაზეც ვრცელდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომელიც გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემულ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.⁴⁶

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რადგან მას აქვს ფარული ხასიათი და სხვა საგამოძიებო მოქმედებების მსგავსად მიმართულია საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁷ მუხლის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებია:

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა- ის წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს და მასში მოიაზრება, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სახის ტელეფონით განხორციელებული კომუნიკაციის მოსმენა და ჩანერა. პირადი სივრცის და შესაბამისად პირად ცხოვრებაში ჩარევად ითვლება არა მხოლოდ, საცხოვრებელ, პირადი საქმიანობის ადგილზე ან მსგავს სივრცეში ფარული

⁴⁴ უსენაშვილი ჯ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას, სამართლის ჟურნალი #2, თბილისი 2012, გვ. 84.

⁴⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 111-ე მუხლი.

⁴⁶ იქვე, მუხლი მე-3 (11).

აუდიო/ვიდეო გადაღება, არამედ საჯარო სივრცეში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გამართული პირადი საუბრების მოსმენაც, მაშინ, როდესაც საუბრის მონაწილეებს აქვთ საუბრის კონფიდენციალურობის დაცულობის რწმენა.

ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია.

გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა, ეს საგამოძიებო მოქმედება არის ნოვაცია და ამოქმედდება 2020 წელს. მასში მოიაზრება შესაბამისი საშუალებებით პიროვნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა მაქსიმალური სიზუსტით, რაც საშუალებას მისცემს საგამოძიებო ორგანოებს, დაადგინონ პიროვნების ზუსტი ადგილსამყოფელი.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (გარდა დიპლომატიური ფოსტისა) კონტროლი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ეს სახე თავისთავად წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში მნიშვნელოვან ჩარევას, რადგან ამით იზღუდება მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლება. მასში იგულისხმება პიროვნების მიერ განხორციელებული მხოლოდ მატერიალური სახის მქონე საფოსტო გზავნილების კონტროლი, გახსნა და დათვალიერება, მისი შინაარსის გაცნობა.

ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება გულისხმობს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან სუბიექტის მიმართ ფარულად განხორციელებულ აუდიო და ვიდეოჩანერას, ასევე ფოტოგადაღებას, რაც თავისთავად ექცევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით დაცულ სფეროში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ფარული ვიდეო და აუდიო გადაღებისას აუცილებელია საგამოძიებო მასალებში მოხვდეს მხოლოდ ის პირი, ვის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება. ევროსასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განაცხადა „სასამართლოს აზრით, ფოტოსურათების გამოქვეყნება, ზოგადად, უნდა იქნეს განხილული, როგორც პირის პირად ცხოვრებაში უფრო არსებითი ჩარევა, ვიდრე პირის ვინაობის ან სახელის მოხსენიება.“⁴⁷

და ბოლოს, ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს. საგამოძიებო ორგანოები იწყებენ ინფორმაციის შეგროვებას მას შემდეგ, რაც გაუჩნდებათ ეჭვი, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი. თვალყურის დევნების მრავალი ფორმა შეიძლება განხორციელდეს ადრეულ ეტაპზეც კი, პრევენციული მიზნებისთვის.

⁴⁷ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 71.

ეს არის საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის კლასიკური მაგალითი, რომლის მიზანია არა მხოლოდ ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნა, არამედ ადამიანების დაცვა.⁴⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით მსგავსი ქმედებები ითვლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევად.

„არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ საფოსტო, სატელეფონო, სატელეგრაფო დანესებულებები საჯარო დანესებულებებია და მთელი მოსახლეობა იყენებს მათ. მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში სამართლის განხორციელებისა და სიმართლის პოვნის სახელმწიფო ინტერესთან ჭიდილის დროს ინდივიდუალური ინტერესის უკანდახევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემზღულ ფარგლებში.“⁴⁹

2.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზაციის პროცესში ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერებაზე კონტროლის მექანიზმები

ზოგადად დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთგვარ კოლიზიას ქმნის. ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძირითადი ასპექტი, ადამიანის უფლებათა დაცვის სავალდებულობა, როგორც საზოგადოებისთვის აუცილებელი კომპონენტი და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტი ძირითადი უფლებები, ორი მიმართულებით ზღუდავს სახელმწიფოს. გარკვეულ ფარგლებს უწესებს მას და ამასთან, სამივე შტოს საქმიანობის მასშტაბს, საქმიანობის შინაარსის განსაზღვრულ კრიტერიუმს წარმოადგენს სწორედ ძირითადი უფლებები. ასევე სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია, თითოეული უფლების განხორციელებისთვის რეალური პირობები შექმნას.⁵⁰

დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და ეფექტური მექანიზმი არის ფარული საგამოძიებო მოქმედებები. მათი განხორციელება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან ამ სახის საგამოძიებო მოქმედებები ყველაზე მეტად იჭრება ადამიანის პირად ცხოვრებაში და სწორედ ამიტომ მათზე მკაცრი სასამართლო კონტროლია დანესებული.⁵¹

რადგან, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ზღუდავს ადამიანის უფლებებს, კანონმდებელი სამართალდამცავ

⁴⁸ ტრეჟსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ. 562.

⁴⁹ რაინარდ ვ. ფონ მაისი, პირადი საიდუმლოების სფერო და მისი დაცვა სამართალწარმოების პროცესში, თბილისი 2014, გვ. 114.

⁵⁰ გვასალია თ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, „სამართალი და მსოფლიო“, N2. თბილისი 2,15, გვ. 181.

⁵¹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი 2017, გვ. 518.

ორგანოებს მხოლოდ განზრახი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისას უშვებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას.⁵²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია ამ კოდექსით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერებასთან დაკავშირებით მოცემულია ამ უფლებების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური საფუძვლები, რომლებიც ისედაც ეხება ყველა საგამოძიებო მოქმედებას მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მაღალი ხარისხით ზღუდავს იგი ადამიანის უფლებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის აუცილებელია სასამართლოს ნებართვა ჩატარებამდე, ან გადაუდებელი აუცილებლობისას, დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა სასამართლოს მიერ ხდება დაწყებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმება.

საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებში ნათქვამი იყო, რომ „რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის შექმნა, ფლობა, ადმინისტრირება და ამ საშუალების გამოყენებით პირადი ხასიათის ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა, ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (მეტადების) კოპირება და შენახვა ქმნის პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მომეტებულ საფრთხეს, თუ ზემოაღნიშნული ხორციელდება ისეთი უწყების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს გამოძიების ფუნქცია ან არის პროფესიულად დაინტერესებული ამ ინფორმაციის გაცნობით.“⁵³ შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ -ტექნიკური სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე სააგენტოს თანამშრომლები ახორციელებენ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებებით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის საკითხის განხილვისას საყურადღებოა ეგრეთწოდებული სფეროთა

⁵² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლი, მე-2 ნაწილი.

⁵³ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის პირველი მარტის მოტივირებული შენიშვნები.

თეორია, რომელშიც იგულისხმება სამი სფერო: სოციალური სფერო, პირადი ცხოვრების სფერო და ინტიმური სფერო. ჩარევისას მნიშვნელოვანია, დადგინდეს ცხოვრების რომელი სფეროდან ხდება ინფორმაციის მოპოვება. რადგან, მაგალითად, სოციალური სფერო განსაკუთრებული დაცვით არ სარგებლობს, ამ შემთხვევაში ბრალდებულის ზოგად პიროვნულ უფლებასთან შედარებით უფრო დიდი მნიშვნელობა და უპირატესობა აქვს მართმსაჯულების ინტერესებს, ამ დროს მოქმედება მიმდინარეობს კერძო და ინტიმურ სფეროთა ფარგლებს გარეთ და მტკიცებულებად დაშვების საკითხი ნაკლებად პრობლემატურია. სოციალურ სფეროში ჩარევისას მტკიცებულებების მოპოვება დასაშვებია მხოლოდ მკაცრი წინაპირობების დაცვით. ხოლო რაც შეეხება ინტიმურ სფეროს, ის ხელშეუვალია და აბსოლუტურად დაცულია ჩარევისგან, შესაბამისად, ბრალდებულის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია ფარული ღონისძიებებით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში.⁵⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ სამართალში განსაზღვრა მინიმალისტური გარანტიები, კომუნიკაციასთან მიმართებით ფარული თვალთვალისას პირად ცხოვრების პატივისცემის უფლებაში თვითნებური ჩარევის თვიდან ასაცილებლად:

ა) კანონში განსაზღვრული უნდა იყოს დანაშაულთა კონკრეტული სახეების ჩამონათვალი და ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელ პირთა კატეგორია; ბ) კანონით მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადები და ხანგრძლივობა; გ) კანონი ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს მოპოვებული ინფორმაციის გამოკვლევის, გამოყენების, შენახვის და მესამე მხარისთვის გადაცემის პროცედურებს; დ) ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ჯეროვან გარანტიებს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების საწინააღმდეგოდ; ე) იმ პირთა მიმართ, ვისზეც ხორციელდება ფარული თვალთვალი (კომუნიკაციის კონტროლი), ან პოტენციური თვალთვალი, სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.⁵⁵

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოტანილი ნებისმიერი შემზღუდავი ხასიათის მოქმედების გასაჩივრების შესაძლებლობას იმ პირის მიერ, ვის მიმართაც განხორციელდა აღნიშნული ღონისძიება. თავის მხრივ, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება პიროვნებას შეუქმნას შესაბამისი პირობები, რომ მან საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში.

⁵⁴ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2014, გვ.275.
⁵⁵ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 194.

ზოგადად სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება საჯაროობის პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა არის საჯარო, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ხდება საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე. თუმცა, განსხვავებული მიდგომა გვაქვს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, რადგან ის თავის თავში მოიცავს საიდუმლოების პრინციპს, და ამ საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას მის დასრულებამდე ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირებს - გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს (თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მათ მიერ განსახილველ საკითხს).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹ მე-2 ნაწილით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტს, ანუ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები, უნდა გადაეცეს საგამოძიებო მოქმედებების მასალები, კერძოდ კი წინასასამართლო სხდომაზე არაუგვიანეს 5 დღისა და მეორე შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემთხვევაში, ერთგვარი დამცავი მექანიზმია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁸ მუხლით გათვალისწინებული განადგურების ვალდებულება, რომლის თანახმადაც ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის. ასევე დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს იმ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც გადაუღებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს. დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უნდა განადგურდეს. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელსაც სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს, განადგურდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ეს მასალა განადგურებამდე სასამართლოს სპეციალურ საცავში ინახება. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებისა. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად

მოპოვებული მასალა, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, ამ კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შეინახება სასამართლოში ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, პირი რომლის მიმართაც მიმდინარეობს ან ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, თავისთავად ვერ იგებს ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, რაც თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფს მისი აზრით უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების გასაჩივრებას, რაც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ ამით მის მიმართ ირღვევა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე მოქმედებს შეტყობინების წესი: „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, და განემარტება აღნიშნული განჩინების ამ კოდექსის 143³ მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლება. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი.“⁵⁶

2.5. სახელმწიფო ინსპექტორის როლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვაში

თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ნაშლილია ქვეყნებს შორის საზღვრები, დროისა და სივრცის შეგრძნება, მაქსიმალურად გამარტივებული და გაიაფებულია კომუნიკაცია, ყოველდღიური საქმიანობა, სოციალური ცხოვრება, პროფესიული მოღვაწეობა წარმოუდგენელია თანამედროვე ელექტრონული მონაცემებისა და ინტერნეტის გარეშე, უფრო და უფრო იზღუდება ადამიანის პირადი სივრცე და მნიშვნელოვნად მცირდება ინფორმაციის განკარგვის ბერკეტები. შესაბამისად, ინფორმაციული ომის პირობებში იზრდება პირთა შესახებ ინფორმაციის მარტივად მოძიების და მისი არამართლზომიერად გამოყენების რისკი. შესაბამისად, მეტად

⁵⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹ მუხლის მე-3 ნაწილი.

აქტუალური ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კონცეფციები.⁵⁷

ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა, ისევე, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, ტერმინებს შორის „პერსონალური მონაცემი“ და „პირადი ცხოვრება“ შესამჩნევ ზღვარს არ ავლენს. რეალურად მათი გამიჯვნა შეუძლებელია, რადგან დღემდე არ არსებობს „პირადი ცხოვრების“ აღიარებული სამართლებრივი განმარტება, რაც განპირობებულია იმით, რომ მასში მოიაზრება სივრცე, რომელზეც კონკრეტულ პირს უფლება აქვს, განაცხადოს „ფლობის, მართვის, გამოყენებისა და კულტივირების ექსკლუზიურობის პრეტენზია“. სახელმწიფოს ინტერესის ზღვარი არის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.⁵⁸ მიუხედავად პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კავშირისა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან, არ შეიძლება ის გავაიგივოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიებთან. „პერსონალური მონაცემის“ ცნება მიიჩნევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფრო ვრცელ კონცეფციის ნაწილად.⁵⁹

პერსონალურ მონაცემში მოიაზრება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, როგორცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, თითის ანაბეჭდი და სხვა, ასევე პიროვნებისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, ფიზიკური, სოციალური და სხვა ნიშნები.⁶⁰

სახელმწიფო უფლებამოსილია ფლობდეს ასეთ ინფორმაციას, თუმცა, თავის მხრივ მას ეკისრება ვალდებულება, გამოიყენოს ის მხოლოდ არსებული საჭიროების პროპორციულად, ამავე დროს უზრუნველყოს მისი დაცვა გახმაურებისა და ბოროტად გამოყენებისგან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შექმნა, საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი და გახმაურებული საქმის პერიოდს დაემთხვა. სწორედ ამ უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის სამუშაო ჯგუფის წევრობა შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პირველ აქტივობად მონაცემთა დაცვის სფეროში. კომისიამ შეიმუშავა კანონპროექტი, რამაც გამოიწვია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციის გამკაცრება, გადაიხედა დანაშაულის შემადგენლობა და

⁵⁷ საგინაშვილი ნ., „პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, ჟურნალი ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი 2015, გვ. 168.

⁵⁸ შაყულაშვილი თ., პერსონალური ინფორმაციის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია : ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, თბილისი 2016., გვ. 83.

⁵⁹ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, თბილისი 2011, გვ. 329.

⁶⁰ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი.

კრიმინალიზებულ იქნა პერსონალურ მონაცემთა უკანონო მოპოვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება.

შექმნის მომენტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ფუნქციები საკმაოდ შეზღუდული იყო, თუმცა მას შემდეგ კანონში არაერთი ცვლილება შევიდა და მისი უფლებამოსილება თანდათან გაიზარდა. პირველი ცვლილების შედეგად ინსპექტორის უფლებამოსილება, მისი მანდატი გავრცელდა პოლიციის სექტორზე, ხოლო კერძო სექტორის მიმართ ინსპექტორის უფლებამოსილება სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან.

ცვლილებების შედეგად განისაზღვრა ინსპექტორის ხელშეუხებლობის გარანტიები და მას უფლება მიეცა, შემონგების განხორციელებისას ნებისმიერი დანესებულებისგან, ფიზიკური თუ იურიდიული პირისგან გამოითხოვოს დოკუმენტები და ინფორმაცია, მათ შორის, კომერციული და პროფესიულ საიდუმლოებების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველი მასალა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და აუცილებელია განსახორციელებლად და გაეცნოს მათ შინაარსობრივი კუთხით.⁶¹ ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს ყოველივე გულისხმობს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას, თუმცა ჩარევა ხორციელდება კანონის საფუძველზე და იმ წინაპირობების არსებობით, რომელიც ამართლებს ამგვარ ჩარევას. რეალურად, კი ის ემსახურება გაუმართლებელი ჩარევებისგან პირების დაცვას.

2019 წლის 10 მაისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში შევიდა ცვლილება, პერსონალური მონაცემის დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი შეიცვალა სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტით.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს და თანამდებობის პირს.

რაც შეეხება მისი საქმიანობის მიმართულებებს, განსაზღვრულია სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონის მე-2 მუხლით, რომელიც მოიცავს: პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს და ამავე კანონით განსაზღვრული დანაშაულების მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ინსპექტორმა, მანამდე არსებულ ფუნქციებთან ერთად შეითავსა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კონკრეტული ტიპის დანაშაულებზე გამოძიების წარმოების უფლებამოსილება. სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონის მე-19 მუხლში ამომწურავადაა ჩამოთვლილი მისი ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები. თუმცა, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოსაძიებელ

⁶¹ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე, 2014 წლის 1 აგვისტო, მუხლი 35.

საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას, აგრეთვე სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს და სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს ექვემდებარება.⁶²

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მის კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამოქმედდა ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავის მიზნებისთვის ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ამავე კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში აკონტროლებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით; ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით; გ) ამ კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელებას გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.⁶³

ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რაც გამოიხატება პერსონალური ხასიათის ინფორმაციის მოპოვების, შენახვისა და გავრცელების მკაცრი რეჟიმის არსებობაში, რომელიც თანაბრად ვრცელდება მოქალაქეებსა და სახელმწიფოზე, ასევე ამ კატეგორიის დანაშაულების სანქციების გამკაცრებაში. სისხლის სამართლის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილია სხვადასხვა ნორმებით, მაგალითად, როგორცაა პროცესის მონაწილის გაფრთხილება ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავებაზე და ამგვარი ქმედებებისთვის სისხლის

⁶² სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონი, 22-ე მუხლი.

⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661?publication=3> (ნანახია 19/06/2019).

სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა და სხვა.⁶⁴ თუმცა, „საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას, ალბათ უნდა დაფიქრდეთ, რატომ სრულდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნები ზედმინწევით, რიგ შემთხვევებში “გადაჭარბებულად”. საჯარო ინფორმაცია სახელმწიფოს საქმიანობის კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ფაქტობრივად ყოველთვის შეიცავს პერსონალურ მონაცემს. ამდენად, პერსონალური მონაცემის დაცვა არის არა მხოლოდ უფლება, არამედ სახელმწიფოს ხელში არსებული ბერკეტი, რომლითაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიზღუდოს სახელმწიფოს საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.“⁶⁵

⁶⁴ შაყულაშვილი თ., პერსონალური ინფორმაციის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია : ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, თბილისი 2016., გვ. 87.

⁶⁵ დავითური გ., სტატია "პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც სასამართლოს საქმიანობის გასაიდუმლოების ინსტრუმენტი“.

https://idfi.ge/ge/personal_data_protection_an_instrument_for_keeping_court_activities_secret (ნანახია 2019წ. 25 მაისს)

III. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიხედვით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრებს ფართო და შორსმომავალ ვალდებულებებს, რომლის თანახმადაც: „1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. 2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“ ამასთან, მე-8 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებებს, არ ჩაერიონ პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობაში და უზრუნველყონ ამ უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა.

როგორც ვხედავთ მუხლი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ეხება უფლებებს, რომლებიც ენიჭებათ სუბიექტებს და მეორე ნაწილი ადგენს რა შემთხვევაში ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ ამ უფლებების შეზღუდვა მართლზომიერად. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა ჩაითვალოს მართლზომიერად, აუცილებელია შეზღუდვამ დააკმაყოფილოს შემდეგი სამი პირობა: შეზღუდვა უნდა იყოს კანონის შესაბამისად, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც პირდაპირაა გათვალისწინებული მუხლში და შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁶⁶

კანონის შესაბამისობა გულისხმობს ეროვნული კანონს არსებობას, რომელიც არეგულირებს ამ უფლების დაცვას. ლეგიტიმურ მიზნებში უნდა მოვიაზროთ ქმედებები, რომლებიც მიმართულია ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, ქმედებები, რომლებიც უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან ჯანმრთელობის, ზნეობის და სხვათა უფლებების დასაცავად არის მიმართული. მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეული მიზანი ფართო ხასიათს ატარებს. დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობა მოთხოვს, რომ ქმედება იყოს პროპორციული, რათა დააკმაყოფილდეს მერვე მუხლის მოთხოვნები. თითოეული ჩარევის ხასიათი და მოცულობა უნდა ემსახურებოდეს დასახული მიზნის მიღწევას. რაც უფრო სასტიკ ხასიათს ატარებს ჩარევა, მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს კანონიერი მიზანი.⁶⁷

⁶⁶ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 13.

⁶⁷ კირკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, თბილისი 2005, გვ. 13.

თვითონ კანონი აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ კანონი იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, იცოდნენ რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში. განჭვრეტადობა გულისხმობს იმას, რომ ნორმა ფორმულირებული იყოს საკმარისი სიზუსტით, რაც შესაძლებლობას მისცემს პირებს, შეუსატყვისონ მას თავიანთი მოქმედება და იცოდნენ სავარაუდო შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-8 მუხლში გამოყენებული თითოეული ტერმინის მნიშვნელობის განმარტება, კონვენციის სხვა მუხლების მსგავსად „ავტონომიურია“ და ევროსასამართლო არ იზღუდება ეროვნული ორგანოების მიერ ტერმინების რაიმე განმარტებით.⁶⁸ „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარესამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“⁶⁹

კონვენციის მერვე მუხლი აერთიანებს ოთხ ინტერესს: პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმონერა. განვიხილოთ რას მოიცავს თითოეული.

ევროსასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებულია პირადი ცხოვრების ფართო გაგება და იგი არ მოიცავს მხოლოდ პიროვნების შინაგან სამყაროს, „შინაგან წრეს“, არამედ პირის შესაძლებლობას იქონიოს კონტაქტი გარე სამყაროსთან, სხვა პირებთან.⁷⁰ „ის მოიცავს *inter alia*, პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, პირადობის, პირადი ინფორმაციის, სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებასა და პირადი ან კერძო სივრცის პატივისცემას.“⁷¹

ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა მოიცავს ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, სხეულებრივ სასჯელს, სისხლის სავალდებულო ანალიზს და სხვა. საქმეში „*Raninen v. Finland*“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც ქმედება არ არის საკმარისად მძიმე, რომ წამოჭრას საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში, მაშინ იწყებს მოქმედებას მე-8 მუხლით გარანტირებული ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლება.

პირადობაში მოიაზრება პირის უფლება, განსაზღვროს მისი გარეგნობა, სექსუალური ორიენტაცია, ჰქონდეს საკუთარი პირადობა, ხოლო რაც შეეხება სახელის და გვარის

⁶⁸ კორკელია ვ., ქერდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი 2003, გვ. 176.

⁶⁹ იქვე გვ. 188.

⁷⁰ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 48.

⁷¹ კორკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, თბილისი 2005, გვ. 25.

შეცვლის საკითხს, ამ მხრივ სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ზღვარი, რადგან არსებობს რეგისტრაციის და პირადობის დამადასტურებელი მონაცემების სტაბილურობის ინტერესი.⁷²

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პირის თანხმობის გარეშე მისი პირადი ინფორმაციის შეგროვება წარმოადგენს მერვე მუხლის დარღვევას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფორმაციის შეგროვება ხდება ფარული ხერხებით, მაგალითად, როგორცაა სატელეფონო მოსმენა, პირადი წერილების შინაარსის გაცნობა და სხვა. თუმცა ასეთი ჩარევა ხშირ შემთხვევებში შესაძლოა გამართლებული იყოს. მაგალითად, საქმეში *McVeigh and Others v. the United Kingdom* მოხდა განმცხადებლების დაკითხვა, გაჩხრეკა, ანაბეჭდების აღება და მოახდინეს მათი ფოტოგრაფირება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დოსიეს შენარჩუნება მათ პირად ცხოვრებაში ჩარევა იყო. ევროსასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ არსებობს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო უშიშროების მიზნებისთვის, სწორედ ამიტომ სასამართლომ ეს ჩარევა მართლზომიერად ჩათვალა. ევროსასამართლომ ასევე გაიზიარა მოსაზრება, რომ ეროვნული უშიშროების დაცვისთვის სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ კანონები, რომლებიც ხელისუფლებას მიანიჭებს უფლებას, შეაგროვონ და შეინახონ ინფორმაცია სხვებისაგან დაცულ ადგილას და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ კიდევ, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან არ უნდა მოხდეს უფლებების ბოროტად გამოყენება.⁷³

ევროსასამართლო სქესობრივ ცხოვრებას მიიჩნევს, როგორც „პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ასპექტს“, მასში მოიაზრება სექსუალური ურთიერთობები როგორც იმავე, ისე განსხვავებული სქესის ადამიანებს შორის და ადამიანის სურვილის შემთხვევაში სქესის შეცვლა. ევროსასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაციის გამო სანქციების დანერგვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პირდაპირი დარღვევაა, თუმცა, როდესაც საკითხი ეხება არასრულწლოვნებს, სახელმწიფო უფლებამოსილია, გამოიყენოს შეფასების ფართო ზღვარი და ამკრძალავი ზომები.

ევროსასამართლომ არ გაავრცელა მე-8 მუხლი სადომამოხისტურ, ჯგუფურ სექსუალურ ქმედებებზე, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ადამიანების ჩართვას და ამ ყოველივეს გადაღებასა და გავრცელებას, თუმცა მე-8 მუხლის ფარგლებში მოაქცია ჯგუფური სექსუალური კავშირი, რომელში ჩაბმული პირებიც მიზნად არ ისახავდნენ მის გავრცელებას და ის შეიყვანა პირად ინტიმურ სფეროში.⁷⁴ საქმეზე *Dudgeon v. the United Kingdom* ევროსასამართლომ დაადგინა დარღვევა, რადგან ეროვნული

⁷² ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ.52.

⁷³ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი 2003, გვ. 177.

⁷⁴ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 52.

კანონმდებლობა უკანონოდ აცხადებდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობას, რამაც შელახა განმცხადებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. საქმეში *Rees v. the United Kingdom* ტრანსსექსუალი ითხოვდა დაბადების მონუმობაში სქესის შეცვლას, რაც არ დააკმაყოფილა სახელმწიფომ, ამასთან დაკავშირებით ევროსასამართლომ განაცხადა, რომ არ დაადგინა დარღვევა და განმარტა, რომ სახელმწიფოს არ შეუღახავს ტრანსსექსუალის პირადი ცხოვრების უფლება დაბადების რეგისტრაციის არსებული სისტემის უარის გამო. ხოლო მსგავს საქმეზე *B v. the United Kingdom* ევროსასამართლომ დაადგინა დარღვევა, რადგან სახელმწიფომ არ დართო ნება პირს, შეეცვალა თავისი სახელი ქალის სახელით და არ შეატანინა ცვლილება მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერში.⁷⁵ როგორც ვხედავთ, სქესობრივი ცხოვრება მოიცავს საკმაოდ ფართო არეალს.

რაც შეეხება პირადი ან კერძო სივრცის პატივისცემას, მასში შეიძლება მოვიპოვოთ ხმაურის ზემოქმედებასთან დაკავშირებული საქმეები, ფოტოსურათების გადაღება და სხვა.

იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახური ცხოვრება არ არის ჩვენი განხილვის საგანი, მის განმარტებას აქ არ შევეხებით.

კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებაში არ მოიაზრება საცხოვრებლის უზრუნველყოფა. ტერმინი „საცხოვრებელი“ მოიცავს მუდმივ და დროებით საცხოვრებელ ადგილებს, ოფისს და ბიზნესის წარმოების ადგილს, საცხოვრებელ ადგილებს რომელიც დამტკიცებული არაა კანონიერად და ასევე საცხოვრებლით სარგებლობის უფლებას.⁷⁶ „საცხოვრებელი არის კერძო ტერიტორია, სადაც ადამიანს აქვს „მარტო ყოფნის“ პრივატულობის მოლოდინი.“⁷⁷ კონკრეტული ადგილის „საცხოვრებლად“ განსაზღვრისთვის აუცილებელია მის გულდასმით განხილვა. ზოგადად საცხოვრებელს მიეკუთვნება ადგილი, სადაც ადამიანი მუდმივად ცხოვრობს, ან ადგილი, რომელთანაც მას აქვს საკმარისი და უწყვეტი კავშირი. ტერმინი „საცხოვრებელი“ მოიცავს დასასვენებელ საცხოვრებლებს, მეორე საცხოვრებელს, სასტუმროებს, ნაქირავებ ფართს, სოციალურ საცხოვრებელს, ბიზნესშენობებს, კომპანიის რეგისტრირებულ ოფისებს, ფილიალებს, ასევე არატრადიციულ საცხოვრებლებს, როგორცაა ქარავანი და სხვა. თუმცა ევროსასამართლომ საცხოვრებლად არ მიიჩნია სამრეცხაო, რომელიც ერთობლივად ეკუთვნის ბინის მაცხოვრებლებს, მსახიობის საგარდერობე ოთახი, მიწის ნაკვეთი და სხვა.⁷⁸

⁷⁵ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005, გვ. 191.

⁷⁶ ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2013, გვ. 383.

⁷⁷ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 55.

⁷⁸ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბ., 2017 გვ. 181.

რაც შეეხება მიმონერას, ის არ გულისხმობს მხოლოდ წერილობით კომუნიკაციას პირებს შორის, არამედ მასში უნდა მოვიაზროთ ტელეკომუნიკაციის მეთოდებით ინფორმაციის გაცვლა, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მიმონერა ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად მისი შინაარსისა, სარგებლობს კონვენციის დაცვით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შესაძლოა გაიზარდოს მიმონერის პატივისცემის უფლების შინაარსი.

3.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით ევროსასამართლოს ძალიან ბევრი გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მნიშვნელოვანი განმარტებები აქვს გაკეთებული, მაგალითად, საქმეზე „Kroon v. Netherlands“ ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მერვე მუხლის ძირითადი მიზანი არის ინდივიდთა დაცვა საჯარო ხელისუფლების უკანონო მოქმედებისგან. ამასთან ერთად შეიძლება იყოს პოზიტიური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს პირადი ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემიდან.⁷⁹

საქმეზე „BĂRBULESCU v. ROMANIA,“ მიმონერის მონიტორინგთან დაკავშირებით ევროსასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია დამსაქმებლის მხრიდან მონიტორინგის მოცულობა და დასაქმებულის პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარისხი. ასევე უნდა განსხვავდეს მიმონერის ნაკადი და მისი შინაარსი. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, მთელი მიმონერის მონიტორინგი მოხდა თუ მხოლოდ მისი ნაწილის, ასევე იყო თუ არა მონიტორინგი დროით შეზღუდული და ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ მის შედეგებზე. იგივე ვრცელდება მონიტორინგის სივრცის შეზღუდვებზე.

ასევე მნიშვნელოვანია რამდენად გამოკვეთა დამსაქმებელმა ლეგიტიმური საფუძვლები მიმონერის და მისი შინაარსის მონიტორინგის დასასაბუთებლად, რამდენადაც მიმონერის შინაარსის მონიტორინგი, თავისი ხასიათით, არის მკვეთრად უფრო ინვაზიური მეთოდი, ის მოითხოვს უფრო წინააღმდეგობას დასაბუთებას.⁸⁰

იქიდან გამომდინარე, რომ მსჯელობა უფრო საინტერესო იყოს, მოცემულ თავის ფარგლებში შემოგთავაზებთ ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ანალიზს.

“SÖDERMAN v. SWEDEN (N5786/08 12 November 2013)”

2002 წელს, 14 წლის ასაკში დაზარალებულმა აღმოაჩინა, რომ მისმა მამინაცვალმა აბაზანაში გასარეცხი თეთრეულის კალათაში დამალა ვიდეოკამერა, ჩართულ

⁷⁹ კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი 2003, გვ. 175.

⁸⁰ BĂRBULESCU v. ROMANIA, № 61496/08, 5/09/2017.

მდგომარეობაში და მიმართული იმ ადგილისკენ, სადაც მან გაიხადა შხაპის მიღებამდე. ამ ინციდენტის შემდეგ ჩანაწერი დაუყოვნებლივ განადგურდა, ისე რომ არავის უნახავს. 2004 წლის სექტემბერში, ორი წლის შემდეგ, დედამ ამ ინციდენტის შესახებ პოლიციაში განაცხადა.

რაიონულმა სასამართლომ მამინაცვალის დამნაშავედ ცნო გარყვნილი ქმედების ჩადენაში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მამინაცვალის გაამართლა იმ მოტივით, რომ, ცალკე აღებული, გადაღების ფაქტი არ იყო დანაშაული შევდეთის კანონმდებლობით, არ არსებობდა პირის მისი თანხმობის გარეშე გადაღების ზოგადი აკრძალვა. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ.

ამის შემდეგ მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. განმცხადებელი ამტკიცებდა რომ შევდეთის სახელმწიფომ ვერ დაიცვა კონვენციის მე-8 მუხლით მასზე დაკისრებული მოვალეობა, ის ასევე უთითებდა კონვენციის მე-13 მუხლზე.

პალატამ გადაწყვიტა, საჩივარი შეისწავლა მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით და დაადგინა ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ ამ ნორმის დარღვევას არ ჰქონდა ადგილი.

განმცხადებელმა კონვენციის 43-ე მუხლის საფუძველზე საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა მოითხოვა და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. დიდმა პალატამ დაადგინა თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მერვე მუხლში განმტკიცებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონწერას. ეს მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, არა მარტო თავი შეიკავონ ამ უფლებაში ჩარევისაგან, არამედ აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა. “ასეთი ვალდებულება შეიძლება პირდაპირ წარმოიშვას საჯარო ორგანოსთან მიმართებით, მაგრამ მე-8 მუხლით დადგენილი ვალდებულება ასევე შეიძლება წარმოიშვას იქ, სადაც არის ან უნდა იყოს საჯარო უწყების ვალდებულება, მოახდინოს პირის (ან სხვა საჯარო უწყების) მიერ სხვა პირის უფლებების დარღვევის პრევენცია.”⁸¹ მერვე მუხლით დასაშვალი უფლებები არ არის აბსოლუტური, მასში დასაშვებია სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა, “სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლით გაცხადებული ინდივიდის უფლებების დასაშვებ შემზღვევად ჩაითვლება მხოლოდ და მხოლოდ იმგვარი შემზღვევები, რომლებიც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-8 მუხლის

⁸¹ ფილიპ ლიჩი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2013, გვ. 378.

მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული ერთი ან მეტი კანონიერი მიზნის განსახორციელებლად.”⁸²

იმ დროისთვის შვედეთში არ არსებობდა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ და მსგავსი ტიპის საქმეებში დაზარალებულების უფლებების დაცვას, სწორედ ამას მიუთითებდა განმცხადებელი, რომ პირადი ცხოვრების უფლება იყო და კვლავ არის არასაკმარისად დაცული შვედეთის სამართლებრივ სისტემაში და ისიც ამ ნაკლოვანების მსხვერპლია. თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. “წინააღმდეგ შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელმწიფოსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.”⁸³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ საქმეში არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმ საფუძველით, რომ განმცხადებლისათვის ხელმისაწვდომი იყო სამართლებრივი დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები და მან აირჩია, ზიანის მოთხოვნის შესახებ საკუთარი საჩივარი სისხლის სამართლის წარმოებაში გაეერთიანებინა. პალატამ ასევე დაასკვნა, რომ შვედურ კანონმდებლობაში არ იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები და არც პრაქტიკა, რაც გაუტოლდებოდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას.

პალატამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი იყო არასრულწლოვანი და იმყოფებოდა საკუთარ სახლში, სადაც ის თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობდა. ამ მოვლენამ გავლენა იქონია მისი პირადი ცხოვრების მეტად ინტიმურ მხარეებზე, დაირღვა მისი ფიზიკური ხელშეუხებლობა. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა, უწინარესად, გულისხმობს და იცავს პირის სხეულს, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.⁸⁴

პალატისგან განსხვავებით დიდმა პალატამ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ შვედეთში იმ დროისთვის არსებულმა კანონმდებლობამ ვერ შეძლო დაეცვა მომჩივანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რა დროსაც მამინაცვალმა სექსუალური მიზნებისთვის სცადა ფარულად გადაეღო შიშველი მომჩივანი შხაპის მიღების წინ. ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც განსაკუთრებით მონყვლადები არიან, მე-3 და მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში მოქცევადი ძალადობისგან, სახელმწიფოს მიერ მათი დასაცავი ღონისძიებები უნდა იყოს ეფექტიანი და მოიცავდეს გონივრულ ნაბიჯებს არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის, რაც სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს, ჰქონდეთ პირადი

⁸² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2004, გვ. 256.

⁸³ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 6.

⁸⁴ Solomakhin v. Ukraine, № 24429/03, 15/03/2012 § 33.

ხელშეუხებლობის მიმე დარღვევისგან ეფექტიანი დაცვის საშუალებები.⁸⁵

შვედეთის მსგავსად პრობლემა იყო ჰოლანდიის კანონმდებლობაშიც, საქმეზე „X and Y v. Netherlands“ მოპასუხე მთავრობა ამტკიცებდა, რომ გოგონას შეეძლო გამოეყენებინა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების არარსებობა პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის მოთხოვნის შეუსრულებლობაა ჰოლანდიის მიერ.⁸⁶

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდი პალატის მიერ საქმის განხილვის პროცესში, შვედეთის მთავრობამ მიიღო კანონის ახალი პროექტი, რომლითაც შეცვალა არასასურველი ფოტოგრაფირების კრიმინალიზაციის ფარგლები. იგი ძალაში შევიდა 2013 წლის 1 ივლისს. მას შემდეგ თავისუფლებისა და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 თავის ნა მუხლი მოცემულია შემდეგი რედაქციით: “პირს, რომელიც უკანონოდ, ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ფარულად გადაიღებს ადამიანის ფოტოს, ვინც იმყოფება სახლში ან აბაზანაში, ან გასახდელ ოთახში ან მსგავს სივრცეში, შეეფარდება სასჯელი არასასურველი ფოტოგრაფირებისთვის ჯარიმის ან მაქსიმუმ ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით.”

მისაღები არ არის პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგან მან არ გაითვალისწინა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1. შიშველ მდგომარეობაში პირისთვის ვიდეოს გადაღებით, პირდაპირ ირღვევა კონვენციის მერვე მუხლი. 2. ქმედების ჩადენის მომენტში დაზარალებული იყო 14 წლის, რაც უფრო მეტად ამძიმებდა მოცემულ დანაშაულს; 3. ვიდეოს გადაღება მოხდა დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში, სადაც მას ყველაზე დაცულად უნდა ეგრძნო თავი.

მისასალმებელია დიდი პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მან მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა მერვე მუხლთან დაკავშირებით, როდესაც საუბარი იყო სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, რაც უკავშირდება ადამიანის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის დაცვას არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კერძო პირების მხრიდან. სასამართლომ წარსულში დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულებები პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით, შეიძლება მოიცავდეს კერძო პირების მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებისაგან დაცვის ადეკვატური კანონმდებლობის მიღებისა და პრაქტიკაში გატარების ვალდებულებას. “ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც განსაკუთრებით მონყვლადები არიან, პირადი ცხოვრების უფლების ეფექტიანი დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის

⁸⁵ Z and Others v. the United Kingdom # 29392/95, ECHR 2001-V. § 73.

⁸⁶ კონსტანტინე კორკელია, ნანა მჭედლიძე, ალექსანდრე ნაღბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005, გვ. 187.

დაცვისაკენ.”⁸⁷

ამ საქმეში ნათლად ჩანს, რომ შვედეთის კანონმდებლობით ვერ მოხდა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა და შვედეთის სახელმწიფოსთვისაც ნათელი იყო, რაც გამოიხატა კანონის ახალი პროექტის მიღებაში.

⁸⁷ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017, გვ. 65

IV. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საერთო და კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში.

4.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საერთო სამართლის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე.

1939 წელს გამოქვეყნდა დელიქტური სამართლის წიგნი, რომელშიც შესული იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. ცოტა მოგვიანებით პროფესორ ფეინბერგის ნაშრომში გამოიკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების ცხრა შტატი, სადაც აღიარებული იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. ხოლო 1960 წელს პროფესორმა უილიამ დინ პროზერმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათლად ჩანდა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, როგორც დელიქტური სამართლის ნაწილი, ფართოდ იყო აღიარებული ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასაც ამტკიცებდა შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლოს 300 გადაწყვეტილება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების საქმეებში.⁸⁸

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია უძველესი მოდერნული კონსტიტუციური დოკუმენტია, რომლის დამფუძნებელთა გაცხადებული მიზანი იყო თავისუფლების დაცვა. შესაბამისად, როდესაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე და ამ უფლებით მოცული პირადი თავისუფლების და ავტონომიის ელემენტების შედარებით გამოკვლევაზე ვსაუბრობთ, ის მნიშვნელოვან იურისდიქციად გვევლინება.⁸⁹

იურიდიულ კონტექსტში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება წარმოადგენს გარკვეული უფლებების ერთობლიობას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემაში უფლებათა იერარქიის ზედა ნაწილშია განთავსებული. მაშინაც კი, როდესაც ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს სახელმწიფოსი ან ინდივიდის გარკვეული ქმედებები, რომელიც საზოგადოებისთვის სასარგებლოა. ყველა შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს თავისი ჩარევა. საკმაოდ ხშირ შემთხვევებში გადანონის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ან „როგორც დონალდ დვორკინი ამბობს, „ამარცხებს“ იმას, რაც ზოგადად შეიძლება სასარგებლო იყოს საზოგადოებისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც სხვა უფლებები, არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაა აბსოლუტური. სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ნათლად გამოაჩინა ის კოლიზიები, რაც ამ ძირითადი უფლებების დაცვასა და სახელმწიფოს შორის

⁸⁸ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 22.

⁸⁹ ლომთაძე ე., ხანთაძე ნ., ზედელაშვილი დ., პირადი თავისუფლება და ავტონომია, თბილისი 2018, გვ. 131.

წარმოიშვება. და ამ ბრძოლაში არც თუ ისე იშვიათად მარცხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება.⁹⁰

სხვა უფლებების მსგავსად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება მოიცავს ორ ელემენტს - ზიანის დადგენას და გამამართლებელ გარემოებებს, ანუ როდესაც ირღვევა პირის უფლება, მას შეუძლია მოითხოვოს ამ უფლების დაცვა.

1968-1978 წლებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ხანა დაიწყო შეერთებული შტატების კონგრესში. ამ დროს მიიღეს დაახლოებით ექვსი კანონი, რომელშიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უკავშირდებოდა. პირველი ასეთი კანონი იყო დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების აქტი, რომელიც არეგულირებდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს ტელეფონის მოსმენის და ფარული მიყურადების საკითხებს. ამავე წლებში მიიღეს კანონი, რომელიც ეხებოდა საკრედიტო ურთიერთობებისას პირადი ცხოვრების დაცვას. 1974 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა წრე და კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც იცავდა მშობლების და მოსწავლეების უფლებებს სასკოლო ჩანაწერებთან დაკავშირებით.⁹¹ დროის გასვლასთან ერთად კიდევ ბევრი ცვლილება შევიდა და არაერთ კანონში მოხდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა გარანტირებული. ამგვარი ცვლილებების განხორციელება ყველა შტატში ერთდროულად არ მომხდარა, თუმცა დროთა განმავლობაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ყველა შტატში.

ყველა შტატს აქვს საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად შეიცავს სისხლის სამართალწარმოებისთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე და ფედერალურ კონსტიტუციაში დაფიქსირებული საგან განსხვავებულ არაერთ დანაწესს. შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეოთხე შესწორების თანახმად, ხალხის უფლება- პიროვნების, საცხოვრებლის, დოკუმენტებისა და ქონების დაცვაზე დაუსაბუთებელი ჩხრეკის ან დაპატიმრებისგან არ უნდა დაირღვეს. ჩხრეკის ან დაპატიმრების ორდერი არ გაიცემა საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე, რომელიც დადასტურებულია ფიცის ან პირობის საზეიმო დადებით. ასეთ ორდერში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი ჩხრეკის ადგილი, დასაპატიმრებელი პირი ან ქონება.⁹²

ორი საუკუნის წინ გაუღერებულმა და მას შემდეგ ამერიკის სასამართლოების მიერ მრავალჯერ განმარტებულმა ამ დებულებამ დროთა განმავლობაში ფართო შინაარსი შეიძინა. შესაბამისად, ის ვრცელდება საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ნებისმიერ შეღწევაზე, საცხოვრებელში მეპატრონისგან ფარულად, ან მისი თანხმობის გარეშე. ყველა სახის ეგრეთწოდებულ ელექტრონული თვალთვალის წარმოებაზე, რაშიც მოიაზრება სატელეფონო საუბრების მოსმენა, საუბრების მოსმენა რადიოს საშუალებით, ვიდეოჩამწერი აპარატურის ფარული გამოყენება,

⁹⁰ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 23.

⁹¹ იქვე, გვ. 24.

⁹² Fourth Amendment to the United States Constitution.

ელექტრომატარებლებიდან ინფორმაციის მოხსნა და სხვა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მის განმარტებებს მეორე შედეგიც მოჰყვა. კერძოდ კი შემუშავდა დებულებები, რომელიც უშვებს გამოთქმისთვის „გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევებისთვის, ან სხვა მოსაზრებით, რომელიც ემყარება საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევ მისწრაფებას, „პოლიციას მჭიდროდ არ შეუკრან ხელები“ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, რათა ნებისმიერ ფასად ბოლო მოუღონ მას.⁹³

რაც შეეხება უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესს, შტატების სისხლის საპროცესო სამართალი ბევრად ჰგავს ფედერალურს. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სხვადასხვა შტატი სხვადასხვა დროს იქნა მიღებული, თუმცა მათ მაინც ბევრი საერთო აქვთ. შეერთებული შტატების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, როგორც წესი, წინასასამართლო (საპოლიციო) გამოძიების ეტაპზე არ ტარდება ისეთი ქმედებები, რომლებიც საჭიროებს მოსამართლის ნებართვას. სწორედ ასეთ ქმედებას მიეკუთვნება ჩხრეკა. ამ დროს საჭიროა სწრაფი რეაქცია, ხოლო მოსამართლის ნებართვის მიღებისთვის აუცილებელია დასაბუთებული მასალების წარდგენა, რაც დროის ფაქტორთან არის დაკავშირებული. თუმცა, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, როდესაც საქმე ეხება გადაუდებელ აუცილებლობას. ამ ეტაპზე შეგროვილ ფაქტობრივ მონაცემებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ მტკიცებულების სტატუსი. როგორც წესი, ისინი გამოიყენება საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების დასაბუთებისთვის. პირველ რიგში კი იმ ღონისძიებების დასაბუთებისთვის, რომლებიც ზღუდავენ პიროვნების კონსტიტუციურ უფლებებს და შესაბამისად ისინი დაიშვება სასამართლო სანქციით.⁹⁴

4.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში გერმანიის მაგალითზე.

გერმანიის კონსტიტუციას ერთდროულად აქვს როგორც ხელმძღვანელი, ასევე მაკონტროლებელი როლი სისხლის სამართლის პროცესში. გერმანიის კონსტიტუციით აღიარებული „სასამართლო ფუნდამენტური უფლებები“ ქმნიან იმ „სიმაგრებს“, რომლებიც ინდივიდს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან იცავენ. სისხლის სამართლის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და მის ღირებულებით სისტემას, როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესს ხშირად „გამოყენებად კონსტიტუციურ სამართალს უწოდებენ.“⁹⁵

⁹³ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007, გვ. 283.

⁹⁴ იქვე, გვ. 282.

⁹⁵ მთარგმნელი: წიქარიშვილი კ., ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2002, გვ. 153.

გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, მიმონერა, შეტყობინება და სატელეკომუნიკაციო კონფიდენციალურობა ხელშეუხებელია. შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა ემსახურება თავისუფალი, დემოკრატიული ძირითადი წესის დაცვას ფედერაციის, მიწების არსებობას ან უსაფრთხოებას. კანონი ითვალისწინებს იმას, რომ დაზარალებულისთვის ცნობილი არ გახდეს ამის შესახებ. ხოლო სასამართლოში საჩივარი შეიცვლება საქმის განხილვისას იმ დეპარტამენტებისა და დამხმარე ინსტიტუტების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება კანონმდებლობის შესაბამისად.⁹⁶

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ფედერაციული სახელმწიფოა, მიწებს არ აქვთ დამოუკიდებელი კომპეტენცია სისხლის სამართლის პროცესში. მთელს გერმანიაში მოქმედებს საერთო ფედერალური საპროცესო კანონმდებლობა.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროცესო იძულების ღონისძიებები პირდაპირ გულისხმობს ინდივიდის უფლებაში ჩარევას, მათი გამოყენება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს კანონს და იცავდეს პროპორციულობის პრინციპს, თუნდაც ეს უკანასკნელი კოდექსში საერთოდ არ იყოს მითითებული. მათი გამოყენების საკითხს, სიმძიმის შესაბამისად წყვეტს მოსამართლე, პროკურორი ან პოლიცია. ხოლო თუ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრძანებას მოსამართლის გარდა სხვა თანამდებობის პირი გასცემს, მაშინ ის შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.⁹⁷

ჩვენი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საპროცესო იძულების ღონისძიებებიდან განვიხილოთ ჩხრეკა და ამოღება, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

ნივთები, რომლებსაც აქვთ მტკიცებულების ძალა, მათ შორის დანაშულის იარაღები, შეიძლება ამოღებულ იქნეს მათი მდებარეობის ადგილიდან. ამოღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პოლიციის ოფიცერი. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად ხდება პოლიციის ოფიცრის მიერ ჩატარება და შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისი იქცა წესად, რაც წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის ერთგვარ საფრთხეს. რაც შეეხება უშუალოდ კორესპონდენციის ყადაღას, მასზე ბრძანების გაცემა მხოლოდ მოსამართლის უფლებამოსილებაა. გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა, როდესაც პროკურორს შეუძლია ყადაღა დაადოს კორესპონდენციას, არაუმეტეს სამი დღის ვადისა. ამის შემდეგ, მის კანონიერებას ამტკიცებს მოსამართლე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომატურად კარგავს ძალას. პროკურორმა ამოღებული

⁹⁶ Basic Law for the Federal Republic of Germany, 23 May 1949 Last amended on 13 July 2017, Art. 9 [Freedom of association].

⁹⁷ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007, გვ. 534.

კორესპონდენცია დალუქული სახით უნდა გადასცეს მოსამართლეს. ამოღებას არ ექვემდებარებიან სამართლებრივი პრივილეგიის მქონე ინფორმაციის შემცველი ობიექტები, მაგალითად, როგორცაა ადვოკატი, ექიმი, სასულიერო პირი და სხვა.⁹⁸ ჩხრეკის წინაპირობები იცვლება იმის მიხედვით, თუ ვის უფლებას ზღუდავს იგი. როდესაც საქმე ეხება ბრალდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის გაჩხრეკას, შედარებით მარტივია სხვა პირების და ადგილების ჩხრეკისგან განსხვავებით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის შემთხვევას მიეკუთვნება ასევე თითის ანაბეჭდის აღება და ფოტოსურათის გადაღება, რომელიც დასაშვებია მხოლოდ საგამოძიებო საჭიროებისთვის ან საპოლიციო მონაცემთა სისტემის შექმნის მიზნით. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს პოლიცია და შესაბამისად, შეიძლება მისი გასაჩივრება სასამართლოში.

რაც შეეხება სატელეფონო მოსმენას, ის შეიძლება დაწესდეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა გამოძიებისას, როგორც ბრალდებულის, ისე მასთან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ. თუმცა, ეს ღონისძიება გულისხმობს მხოლოდ სატელეფონო ქსელებში ჩართვას და საუბრის ჩანერას.⁹⁹ ფარული მიკროფონების დაყენება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია. სატელეფონო მოსმენის განხორციელებისას აუცილებელია მოსამართლის ბრძანება, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის ბრძანება, რომელიც სამი დღის ვადაში უნდა დამტკიცდეს მოსამართლის მიერ.

⁹⁸ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2002, გვ. 165.

⁹⁹ იქვე, გვ. 167.

V. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საქართველოს სასამართლოს პრაქტიკა

5.1. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციის ყოფილ მე-20 მუხლთან და ახლანდელ მე-15 მუხლთან,¹⁰⁰ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით პრაქტიკა არ არის მრავალფეროვანი. თუმცა არის რამდენიმე გადაწყვეტილება, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა. მაგალითად, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ჩამოყალიბების პერიოდში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ხშირად ასოცირდებოდა ინდივიდის იზოლირებულ სფეროსთან, რაც გამოხატულებას პოვებდა გარკვეულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში: სახლის, ოჯახის და შეტყობინებების საიდუმლოების დაცვაში.“¹⁰¹

სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით ერთ-ერთ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „ამ ინსტიტუციების დაცვას ისეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის იდეა, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენდა, ხშირად უკანა პლანზე გადადიოდა.“¹⁰²

ასევე საჭიროდ მიმაჩნია, განვიხილო ერთ-ერთი საინტერესო გადაწყვეტილება, რომელშიც მოსარჩელე მიუთითებს რამდენიმე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა, რადგან ჩვენი განხილვის საგანი არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გადაწყვეტილების გაანალიზებაც მოხდება მხოლოდ ამ ჭრილში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 და 2011 წელს კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს საქართველოს მოქალაქეებმა ლევან იზორიამ და დავით (მიხეილ) შუბლაძემ. სარჩელი ეხებოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის არსებითი განხილვის სხდომა გაიმართა 2012 წლის 11 აპრილს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პოლიციელი უფლებამოსილია, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად,

¹⁰⁰ შენიშვნა: რადგან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუციის ამოქმედებამდე, მასში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა განხილულია მაშინდელი მე-20 მუხლით, დღეის მდგომარეობით პირადი ცხოვრება დაცულია კონსტიტუციის მე-15 მუხლით და გადაწყვეტილების ანალიზისას მუხლს მოვიხსენიებ გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული რედაქციის მიხედვით.

¹⁰¹ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ. 189.

¹⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.16;

გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შეჩერებული პირის ტანსაცმელზე აწარმოოს ზედაპირული შემოწმება. თუ ზედაპირული შემოწმებისას წარმოიშვა ჩხრეკის საფუძველი, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ატარებს ჩხრეკას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.“

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ტერმინი „ზედაპირული შემოწმება“ იყო ბუნდოვანი და არ იძლეოდა მისი პირადი ჩხრეკისგან გამიჯვნის შესაძლებლობას. მისი აზრით, სადავო ნორმის არსებული რედაქციის პირობებში, ზედაპირული შემოწმება შეიძლება ჩატარებულიყო იმგვარად, რომ მას გამოეწვია ადამიანის პირად ცხოვრებაში მძიმე ფორმით ჩარევა, რაც შეუფასებადი იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელის განმარტებით, ზოგადად ინტერესი, ადამიანის მიმართ განხორციელდეს ზედაპირული შემოწმება, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი და ეს ეჭვი განმარტებულია კანონმდებლობით, არის კონსტიტუციასთან შესაბამისი. მისი აზრით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ზედაპირული შემოწმების მიზანი იყო პოლიციის უსაფრთხოების დაცვა, რაც საჯარო სიკეთეს წარმოადგენს. თუმცა მიუთითებდა, რომ სადავო ნორმის ფორმულირება პრობლემატური იყო იმდენად, რამდენადაც არ იყო განსაზღვრული, ზედაპირული შემოწმება ხორციელდებოდა ტანსაცმლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გარეგნულად არის აღქმადი, თუ იგი გულისხმობდა შიდა ნაწილზე შემოწმებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ტანსაცმლის გარე ნაწილის შემოწმებას არ მიიჩნევდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად, მისი განმარტებით, ამ ნორმის მოქმედების პირობებში არსებობდა საფრთხე, რომ შემოწმება გადაზრდილიყო ჩხრეკაში, რაც თავისი შინაარსით და ინტენსივობით წარმოადგენდა ძირითად უფლებაში ჩარევის მძიმე ფორმას. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ ღონისძიებაზე არ ვრცელდებოდა სასამართლოს კონტროლი. შესაბამისად მიუთითებდა, რომ ეს ნორმა ვერ აკმაყოფილებდა პროპორციულობის მოთხოვნას და ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი საშუალებით, კერძოდ კი ტანსაცმლის გარე ნაწილზე ხელით შეხების ან მეტალოდეტექტორით შემოწმებით.

ერთ-ერთ გადანყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მე-20 მუხლის მიზანი უკავშირდება ამავე მუხლში ჩამოთვლილი სიკეთეების დაცვას. მასში მოცემული ფრაზა „პირადი ცხოვრება“ ემსახურება იმ ინტერესების ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობაა დაცული. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რომელიც დაკავშირებული იქნება პირად ცხოვრებასთან, „პირადი ცხოვრება“ გახსნის ჩამონათვალს და სასამართლოს მისცემს იმ მოვლენების დაცვის საშუალებას, რაც ამ მუხლში პირდაპირ არ არის ჩამოთვლილი. სწორედ ასეთია პირადი ჩხრეკა, რომელიც კონსტიტუციის მე-20 მუხლში მოცემული არაა, თუმცა უდავოა, რომ სწორედ ეს მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას და ამ მუხლის მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის

ან/და პირადი ნივთებს შემოწმება.¹⁰³ ამ შემთხვევაში, მოსარჩელე არასწორად მიუთითებდა, რომ ტერმინის ბუნდოვანებას, შეიძლება გამოეწვია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ მასში არ იყო განმარტებული რას მოიცავდა ზედაპირული შემოწმება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და ის შესაძლოა შეიზღუდოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მისი შეზღუდვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია ამავე მუხლში და შეიცავს შეზღუდვის შესაბამის კრიტერიუმებსაც. შეზღუდვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოთხოვნა, რომ უფლებაში ჩარევა შესაბამისი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს მასში მოცემული უფლების როგორც მატერიალურ შინაარსს, ისე უფლების შეზღუდვის ფორმალურ გარანტიებსაც.¹⁰⁴

მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ პირის ზედაპირული შემოწმება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრებოდა პოლიციელის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, შესაბამისად ეს ღონისძიება გამოიყენებოდა მხოლოდ ამ პირობების არსებობისას და არა ნებისმიერ შემთხვევაში. ტერმინის განმარტებასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ „ზედაპირულ შემოწმებაში“ მოიაზრებოდა ზედაპირულად ხელის შეხებით შემოწმება, ხოლო საეჭვო ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, იგი გადაიზრდებოდა ჩხრევაში, საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად, რასაც ითვალისწინებდა კიდეც სადავო ნორმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და მიუთითა, რომ მოსარჩელის მსჯელობა სადავო ნორმის მკლარი განმარტებიდან გამომდინარეობდა. 9¹ მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსიდან აშკარად გამომდინარეობდა, რომ ასეთად ვერ ჩაითვლებოდა ისეთი ქმედება, რომელიც მოითხოვდა ტანსაცმლის „ვიზუალურად უხილავი“ ნაწილის გამოჩენას ან ტანსაცმლის გახდას. ხოლო ასეთი ქმედებები პირად ცხოვრებაში ჩარევის შედარებით უფრო მძიმე ფორმას წარმოადგენდა და, ამდენად, უფლებაში ჩარევის ინტენსივობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ჩხრეკას უტოლდებოდა.

ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან „ზედაპირული შემოწმება“ ნამდვილად არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ ქმედებად, რომელიც მოიაზრებს უხილავი ნაწილების გამოჩენას. ის, რომ არსებობს ორი განსხვავებული კანონი, ორი განსხვავებული რეგულაცია ჩხრეკასთან დაკავშირებით, თავისთავად გულისხმობს ზედაპირული შემოწმების და პირადი ჩხრეკის გამიჯვნის ვალდებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ნორმების ერთმანეთში აღრევისთან და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში გაუმართლებელ ჩარევასთან.

¹⁰³ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი 2013, გვ. 191.

¹⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

„პოლიციის შესახებ“ კანონი ნათლად მიუთითებს, რომ ზედაპირული შემოწმება შესაძლებელია გადაიზარდოს პირად ჩხრეკაში, თუ იარსებებს ამის საფუძველი, რაც ასეთ შემთხვევაში თავისთავად გულისხმობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად მოქმედებას. ამ დროს საქმე გვექნება გადაუდებელ აუცილებლობასთან, რადგან დროის სიმციროს გათვალისწინებით, პოლიციელის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვაგვარად ვერ მოხდება, თუ არა მისი მხრიდან დაუყოვნებლივი მოქმედება. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგადად სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებული ორ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი წყარო, ერთი მხრივ მას გააჩნია ინფორმაცია და ცოდნა საქმისთვის რელევანტური გარემოებების შესახებ და მეორე მხრივ, შესაძლოა, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს ფიზიკურად აღქმადი, ხელშესახები ფორმით, რომელიც გამოვლინდა ზედაპირული შემოწმების შედეგად, და რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროების პირადი ჩხრეკის ჩატარებას.¹⁰⁵

5.2. საერთო სასამართლოების პრაქტიკა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოებში არაერთი განჩინებაა მიღებული. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე განვიხილავ რამდენიმე მათგანს.

2014 წლის 17 დეკემბერს №1გ/1277-14 სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განჩინებით დააკმაყოფილა მთავარი პროკურატურის¹⁰⁶ პროკურორ რობერტ გრიგალაშვილის საჩივარი, საგამოძიებო მოქმედების - დ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის და შპს „ი.ჯ“-ის ოფისის ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე შუამდგომლობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლარისა ლიპარტელიანის 2014 წლის 13 დეკემბრის განჩინებაზე. საქმე ეხებოდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას და გამოყენებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს.

საგამოძიებო კოლეგიამ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით ძალიან მოკლედ და მშრალად განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული არის ყველას უფლება, რომ პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას და მის საცხოვრებელს. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა უშუალოდ შედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში და დაცულია ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით, ამავე დროს კანონის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისი

¹⁰⁵ თუმანიშვილი გ., ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია, კრებულში: გურამ ნაჭყებია-75, მერიდიანი, თბილისი 2016, გვ. 90.

¹⁰⁶ ცვლილების შესაბამისად ამჟამად გენერალური პროკურატურა.

სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას. მეორეს მხრივ, დასაშვებია გარკვეული შეზღუდვები და პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა (მათ შორის პირის საცხოვრებელი სახლის (ადგილის) ჩხრეკა).

მიმაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ განჩინებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები არ განიხილა სათანადოდ, რაც აუცილებელი პირობაა, რათა არ მოხდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში არამართლზომიერი ჩარევა.

ერთ-ერთი განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ სამართლიანად ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორ ბ.ა.-ს საჩივარი.¹⁰⁷ საქმე ეხებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის აკრძალული საგნის გადაცემის ფაქტს, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით. პროკურორი ითხოვდა ბრალდებულის ტელეფონის ნომერზე განხორციელებული შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების აბონენტებთან კავშირზე მყოფი ყველა სხვა აბონენტის შესახებ მოთხოვილი ინფორმაციის ამოღებას, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო 5 ნომერი, რომელსაც რეალურად ჰქონდა კავშირი ამ საქმესთან. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სამართლიანად მიუთითა, რომ „ამ შემთხვევაში პროკურორი შუამდგომლობს აბონენტთა სრულიად განუსაზღვრელი წრის მიმართ ისეთი ინფორმაციის ამოღებაზე, რომელიც არღვევს მათი პირადი ცხოვრებისა და სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებას და აღნიშნულის დასასაბუთებლად შუამდგომლობასა და საჩივარში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი. გარდა ამისა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი იმ დოკუმენტებით, რაც სასამართლოშია წარმოდგენილი, საერთოდ არ იკვეთება საეჭვო აბონენტთან დაკავშირებულ აბონენტებთან დაკავშირებული სხვა განუსაზღვრელი და, სავარაუდოდ, ძალიან დიდი რაოდენობის აბონენტების შესახებ მოთხოვილი ინფორმაციის ამოღების აუცილებლობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოთხოვილ ინფორმაციაში ადვილი შესაძლებელია მოხდეს მონაცემები იმ პირთა შესახებაც, რომლებიც იმუნიტეტით სარგებლობენ. ამიტომ აუცილებელია შუამდგომლობა და საჩივარი მოთხოვნის ყველა ნაწილში იყოს დასაბუთებული.“ დღევანდელ რეალობაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის სატელეფონო კავშირი. იმისათვის, რომ მართლზომიერად იქნეს მიჩნეული პირის კომუნიკაციაში ჩარევა, აუცილებელია გარკვეული პირობების დაკმაყოფილება, მნიშვნელოვანია ასევე კომუნიკაციის მონაწილე პირთა წრე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორი უსაფუძვლოდ და ყველანაირი დასაბუთების გარეშე ითხოვდა ბრალდებულის ნომერზე განხორციელებული ყველა ზარის ამოღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრთხე ექმნებოდა მრავალი პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სამართლიანად მიუთითა იმუნიტეტით მოსარგებლე პირთა წრეზე.

¹⁰⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 მაისის განჩინება №1 გ/258.

მნიშვნელოვან და საინტერესო დასაბუთებას აკეთებს სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში სატელეფონო საუბრის ფარულ ჩანერასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, „ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუაზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაში შესაძლებელი, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტი შეიძლება იქნეს გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების სანაღმდეგოდ გამოიყენებს.“

კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან პირადი კომუნიკაციის განსაჯაროება, დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე.¹⁰⁸

მაშინ როდესაც საქმე ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, უზენაესი სასამართლო დასაბუთებისას ხშირად იყენებს ევროსასამართლოს პრაქტიკას, რაც მნიშვნელოვანია კომპონენტია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის. ფარულ მიყურადებასა და პირადი ცხოვრების ვიდეო/აუდიო ჩანერასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეში მან აღნიშნა, რომ იმ საქმეებზეც კი, სადაც პირის ფარული მიყურადება, მისი საუბრებისა თუ სხვა ჩანერა განხორციელდა მოსამართლის ბრძანებით, ცალკეულ შემთხვევებში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა: პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ საზედამხედველო ძალაუფლება მინიჭებული ჰქონდეს მოსამართლეს ისეთ სფეროებში, სადაც ინდივიდუალურ შემთხვევებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იმდენად მარტივია, რომ მან ზოგადად შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მთელ დემოკრატიულ საზოგადოებას (Klass and others v. Germany/, სერია ა, #28, 6.9.78, პარ.55).¹⁰⁹

ზოგადად საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დროის გასვლასთან ერთად იმატებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევის რიკხვი, ამასთან კავშირში საინტერესოა სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლოებს სატელეფონო მოსმენის ყველაზე ბევრი მოთხოვნით 2018 წელს მიმართეს (ჯამში 1,059 შემთხვევა). ასევე, ამ წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი

¹⁰⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის განჩინება №2ბ/6800-13.

¹⁰⁹ უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განჩინება №560აპ-18.

სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობები აღემატება წინა ორი წლის მანძილზე წარდგენილი შუამდგომლობების ჯამურ მაჩვენებელს, რაც თითქმის გაუტოლდა 2014 წლის შედეგებს. გაზრდილია ასევე სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობების დაკმაყოფილების წილი. თუ ეს მაჩვენებელი 2014-2016 წლებში 82-86%-ს შორის მერყეობდა, ბოლო ორი წლის მანძილზე მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარისხმა მოიმატა და 93-94% შეადგინა.¹¹⁰ თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლოები საფუძვლიანად და არგუმენტირებულად ასაბუთებენ განჩინებებს, საერთო სასამართლოები ევროპული სასამართლოს განმარტებებს მართებულად ციტირებენ და არგებენ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

¹¹⁰ https://idfi.ge/ge/statistics_of_secret_surveillance_2017_2019_in_georgia (ნანახია 2019 წლის 2 ივლისს).

დასკვნა

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში შევეცადეთ დაგვესაბუთებინა სახელმწიფოსთვის ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის პრიორიტეტულობა და უფლებათა მზღუდავი ხასიათის მქონე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობა, ასევე პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხრიდან იმ აუცილებელი და სავალდებულო მოქმედებების განხორციელების აუცილებლობა, რომლის დაცვის შემთხვევაში ქვეყანაში ბევრად ამაღლდება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ხარისხი.

ნაშრომის ფარგლებში ძირითადად ყურადღება გამახვილებული იქნა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფაზე, იმ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, რა შემთხვევაშიც პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან ჩაითვლება გამართლებულად. ასევე განხილულ იქნა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას.

ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ აუცილებელია, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ისეთ საკითხებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციით გათვალისწინებულ და აღიარებულ პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევასთან და შექმნას შესაბამისი პირობები, რომლის მეშვეობითაც პიროვნება იგრძნობს, რომ ქვეყანაში, რომელშიც ის ცხოვრობს, მისი უფლება დაცულია.

საქართველოში პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფის კრიმინალიზაცია მნიშვნელოვანი მექანიზმია აღნიშნული უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელთან შესაბამისობაშიცაა მთლიანად საქართველოს კანონმდებლობა.

ასე მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში რამდენიმე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სრულყოფისთვის. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 157-ე მუხლს, რომლის თანახმადაც დასჯადია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, ასევე დასჯადია პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კი დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ, გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით; საპროცესო მოქმედებების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვა უნდა პირს საჭიროდ მიაჩნია; პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/ პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული რეგულაციების მიუხედავად, ბოლო პერიოდში საჯარო სივრცეში გავრცელდა არაერთი პირადი ცხოვრებას ამსახველი ჩანაწერი, რომლის გასაჯაროებაც ცხადყოფს, რომ აღნიშნული დანაშაულებისათვის დანესებული სანქციები, ასევე სამართალდამცავთა რეაგირება ამ საკითხებთან დაკავშირებით ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს შესაბამის პრევენციულ ხასიათს.

ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩხრეკის ჩატარების დროს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული პროპორციულობის პრინციპი, რაც გულისხმობს ჩხრეკის განხორციელებას მხოლოდ იმ მასშტაბით, რაც რეალურად საჭიროა გამოძიებისთვის საჭირო ნივთის აღმოსაჩენად. თითოეული საქმე საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას და იმის შეგნებას, რომ ჩხრეკა ტარდება როგორც უკიდურესი ღონისძიება და ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმგვარი სიფრთხილით, რომ არ გადააჭარბოს ჩარევისთვის დადგენილ ზღვარს. ამასთანავე, ჩხრეკის ჩატარებამდე უნდა გატარდეს ყველა შესაძლო ღონისძიება, რომლითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ჩხრეკის დროს შეცდომის დაშვების რისკი.

რაც შეეხება კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს, მნიშვნელოვანია მოხდეს ნორმის იმგვარად ჩამოყალიბება, რაც თავიდან აიცილებს არაერთგვაროვან პრაქტიკას. კერძოდ, დაკონკრეტდეს, რა კატეგორიის დანაშაულებზე აქვს დაცვის მხარეს უფლება, მიმართოს სასამართლოს კომპიუტერული სისტემიდან დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვაზე, რადგან ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულისას მიმართვის შემთხვევაში ბევრად უფრო მაღალია რისკი, მოხდეს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არამართლზომიერი შეზღუდვა, რომელიც არაა პროცესის მონაწილე და რომელიც ფიგურირებს გამოსათხოვ მასალაში.

აქვე მნიშვნელოვანია მობილურ ტელეფონთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან კანონში არ არის დაკონკრეტებული მობილური ტელეფონის ჩხრეკა/ამოღების ან დათვალიერების დროს იგულისხმება მხოლოდ მისი გარეგნული დათვალიერება, თუ ხდება მასში არსებული ინფორმაციის გაცნობა, რაც მჭიდრო კავშირშია პირად

ცხოვრებასთან, რადგან მობილურ ტელეფონში შესაძლებელია, იყოს როგორც პირადი კომუნიკაცია სხვადასხვა პირებთან, ასევე პროცესის არამონაწილე პირების ფოტოსურათები და სხვა ინფორმაცია. შესაბამისად, აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები ამ საკითხებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც თავიდან იქნება აცილებული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არამართლზომიერი შეზღუდვა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზით ნათელია, რომ ის შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის და განმტკიცების კუთხით, თუმცა არსებულმა ხარვეზებმა გვიჩვენა, რომ საკანონმდებლო სივრცეში მაინც რჩება არაერთი პრობლემა, რომელიც აფერხებს ამ უფლების დაცვის შესაძლებლობას და განაპირობებს ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ზემოთ განხილული პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ამ უფლების დარღვევის პრევენციას და მეორე მხრივ, აღმოფხვრის არსებულ პრობლემებს.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950 წლის 4 ნოემბერი).
- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი).
- საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო).
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წლის 22 ივლისი).
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წლის 9 ოქტომბერი).
- ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი (1999 წლის 30 აპრილი).
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი (2011 წლის 28 დეკემბერი).
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე, 2014 წლის 1 აგვისტო.
- სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონი (2018 წლის 21 ივლისი).
- პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი (2013 წლის 4 ოქტომბერი).
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276661?publication=3> (ნანახია 19/06/2019).
- საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის პირველი მარტის მოტივირებული შენიშვნები.
- Basic Law for the Federal Republic of Germany, 23 May 1949 Last amended on 13 July 2017.
- Fourth Amendment to the United States Constitution (September 25, 1789).
- Convention on Cybercrime, Budapest 2001.

სამეცნიერო ლიტერატურა

- მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017.
- კორკელია ვ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ბაკულ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2005.

- ბოხაშვილი ბ., კორკელია ვ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა), თბილისი, 2017.
- კუბლაშვილი ვ., ძირითადი უფლებები, ჯისიაი, თბილისი 2008.
- საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, მერიდიანი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი 2017.
- ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პეტიტი, თბილისი 2013.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, რედ.: გიორგაძე გ., თბილისი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, 2015.
- ტრეფსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2009.
- რაინარდ ვ. ფონ მაისი, პირადი საიდუმლოების სფერო და მისი დაცვა სამართალწარმოების „მერიდიანი“, თბილისი 2014.
- კორკელია ვ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, შპს პეტიტი, თბილისი 2003.
- ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2005.
- ზეცლაშვილი უ. კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი რეგულირების პრობლემები საქართველოში, თბილისი 2013.
- კირკელი უ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, შპს პეტიტი, თბილისი 2005.
- შაყულაშვილი, თ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პრიცესში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სტუ, თბილისი, 2013.
- ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, შპს სეზანი, თბილისი 2013.
- ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2002.
- გუცენკო ვ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფელიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, მერიდიანი, თბილისი 2007.

- ლომთაძე ე., ხანთაძე ნ., ზედელაშვილი დ., პირადი თავისუფლება და ავტონომია, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, თბილისი 2018.
- თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი 2014.

სტატიები/ჟურნალები/გამოცემები/კვლევები

- ფათეაშვილი ლ., „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა VII, თბილისი 2015.
- თუმანიშვილი გ., „ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხელიდან ნიმუშის აღება და თვითინკრინაცისგან დაცვის პრივილეგია,“ კრებულში: გურამ ნაჭყებია-75, მერიდიანი, თბილისი 2016.
- ფათეაშვილი ლ., „ციფრული მტკიცებულების ამოღება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკმარისი თუ ილუზიური გარანტია?“ კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, თბილისი 2014.
- ზუკაკიშვილი ქ., „პირადი ცხოვრების უფლება - გამოწვევები ინტერნეტ ეპოქაში“ (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის მიმოხილვა), სამართლის ჟურნალი #1, თბილისი 2012.
- პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, კვლევა, თბილისი 2014.
- შაყულაშვილი თ., „პერსონალური ინფორმაციის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია : ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, ედვანიზტეუფი, თბილისი 2016.
- ფარული მიყურადების რეგულირება და პრაქტიკა საქართველოში: 2017-2019 [https://idfi.ge/ge/statistics of secret surveillance 2017 2019 in georgia](https://idfi.ge/ge/statistics-of-secret-surveillance-2017-2019-in-georgia) (ნანახია 2019 წლის 2 ივლისს)
- დავითური გ., "პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც სასამართლოს საქმიანობის გასაიდუმლოების ინსტრუმენტი". [https://idfi.ge/ge/personal data protection an instrument for keeping court activities secret](https://idfi.ge/ge/personal-data-protection-an-instrument-for-keeping-court-activities-secret) (ნანახია 2019წ. 21 ივნისს).
- საგინაშვილი ნ., „პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, ჟურნალი ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი 2015.

- ხუციშვილი ე., ვერძელი ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართმსაჯულებაში, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012.
- ლანჩავა გ., „კომპიუტერული დანაშაული,“ ჟურნალი მართმსაჯულება #2, თბილისი 2008.
- ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2013.
- კორკელია კ., „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო,“ სტატიათა კრებული, ჯიაიზი, თბილისი 2011.
- გიორგაძე გ., ბარამიძე ა., სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისთვის, თბილისი, მერიდიანი, 2012.
- შაყულაშვილი თ., „ბინის (სხვა მფლობელობის), პირადი დოკუმენტების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა სისხლის სამართლის პროცესში,“ ჟურნალი მართმსაჯულება და კანონი #2(37), თბილისი 2013.
- უსენაშვილი ჯ., „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას,“ სამართლის ჟურნალი #2, თბილისი 2012.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2004.
- გვასალია თ., „ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები,“ სამართალი და მსოფლიო, N2. თბილისი 2,15.

სასამართლო გადაწყვეტილებები/განჩინებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 2009 წლის 19 დეკემბერი, N1/7/454, #1
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II#26.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.16;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება (N^o1/1/650,699).

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12 2012 წლის 24 ოქტომბერი, N1/2/519.

2. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებები

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 მაისის განჩინება №1გ/258.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბრის განჩინება №1გ/1277-14.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის განჩინება №2ბ/6800-13.
- უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 მარტის განჩინება №560აპ-18.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

- Ernst and others v. Belgium №33400/96, 15/7/2003.
- Solomakhin v. Ukraine, № 24429/03, 15/03/2012.
- Z and Others v. the United Kingdom # 29392/95, ECHR 2001-V.
- SÖDERMAN v. SWEDEN N5786/08, 12/11/2013.
- BĂRBULESCU v. ROMANIA, № 61496/08, 5/09/2017.